პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 164 (11775)

შაბათი, 16 ივლისი 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს ახალი სამდინარო გემები

14 ივლისს მოსკოვის ჩრდილოეთის სამდინარო ნავსადგურში ამხანაგებმა ა. ბ. არისტოვმა, ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. გ. იგნატოვმა, ფ. რ. კოზლოვმა, ა. ნ. კოსიგინმა, ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიკოიანმა, ნ. ა. მუხიტდინოვმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ე. ა. ფურცევამ, ნ. ს. ხრუშჩოვმა, წ. მ. შვერნიკმა, პ. ნ. პოსპელოვმა, დ. ს. კოროტჩენკომ, ი. ე. კალნბერზინმა, ა. პ. კირილენკომ, კ. ტ. მაზუროვმა, ვ. პ. მჟავანაძემ, მ. გ. პერვუხინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა, [illegible] კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველმა მდივნებმა, [illegible] მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებმა [illegible] მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, სკკპ ლენინგრადისა და გორკის საოლქო კომიტეტების მდივნებმა, სსრ კავშირის მინისტრებმა, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა და მთელმა რიგმა სხვა ამხანაგებმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მონაწილეებმა, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, დაათვალიერეს ახალი სამდინარო გემები და მოსკოვის სახელობის არხით კლიაზმის წყალსაცავამდე იმოგზაურეს ახალი ჩქარი სამგზავრო თბომავლით „მეტეორით“.

ეს წყალქვეშაფრთებიანი გემი აგებულია ქარხანა „კრასნოე სორმოვოში“. მან გაიარა გამოცდა და მოქმედა სამგზავრო ფლოტის მწყობრში დგება. თბომავალი განკუთვნილია 150 მგზავრის გადასაყვანად. მისი სიჩქარეა 70-75 კილომეტრი საათში.

„მეტეორის“ ტიპის და წინათ აგებული „რაკეტის“ ტიპის გემები საშუალებას მისცემენ სამდინარო ფლოტს ძირეულად გააუმჯობესოს მგზავრთა მომსახურება როგორც შორეულ, ისე შიდასაოლქო ხაზებზე.

განმარტებას იძლეოდა ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ წყალქვეშაფრთებიანი გემების მთავარი კონსტრუქტორი რ. ე. ალექსეევი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა გზა კლიაზმის წყალსაცავიდან მოსკოვამდე გაიარეს თანამედროვე სამგზავრო სამგემბანიანი თბომავლით „კომარნოთი“, რომელიც აგებულია ჩეხოსლოვაკიაში, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტროს შეკვეთით.

მოგზაურობის დროს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა და წევრობის კანდიდატებმა და სხვებმა დაწვრილებით დაათვალიერეს ახალი გემები, იყვნენ სალონებსა და მგზავრთა კაიუტებში.

ახალი სამდინარო გემების დათვალიერებისას ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მაღალი შეფასება მისცა მათ.

მოგზაურობის დროს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებს ახლდა რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის მინისტრი ზ. ა. შაშკოვი. (საკდესი).



სურათზე: პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ ახალი სამდინარო გემების დათვალიერება; ქვემოთ ახალი სწრაფმავალი სამგზავრო თბომავალი „მეტეორი“ მოსკოვის სახელობის არხზე.

ფოტო ს. სმირნოვისა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1960 წლის 15 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობდა მუშაობას.

დღის სხდომაზე კამათში მოხსენებათა გამო, თუ როგორ სრულდება სკკპ XXI კრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და მეცნიერების და ტექნიკის უახლეს მიღწევათა წარმოებაში დანერგვის შესახებ, გამოვიდნენ ამხანაგები: ს. ა. ხრისტიანოვიჩი (აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე), ა. ი. გაევოი (უკრაინის კომპარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი), გ. ი. ჩოგოვაძე (საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ა. ნ. ტესმეიანოვი (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), შ. რ. რაშიდოვი (უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი), ს. ი. კუვიკინი (ბაშკირეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე), ი. ტ. ნოვიკოვი (სსრ კავშირის ელექტროსადგურთა მშენებლობის მინისტრი), ვ. ფ. გოგინი (ლისიჩანსკის ქიმიური კომბინატის დირექტორი), კ. დ. პეტუხოვი (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე), ბ. ოვეზოვი (თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ა. კუჩერენკო (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე), ვ. ვ. გრინი (საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე), ე. თ. კოუეევნიკოვი (სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი), ა. ნ. კოსიგინი (სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე).

პლენუმმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება განხილულ საკითხზე.

ხელები შორს კონგოსაგან! — ასეთია საბჭოთა ხალხის მოთხოვნა

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ქ. კასავუბუსა და პ. დუმუმბასადმი

საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ კონგოს რესპუბლიკას საჭირო დახმარებას გაუწევს, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს მისი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის. ამ განცხადებას შეიცავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი წერილი კონგოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯოზეფ კასავუბუსადმი, პრემიერ-მინისტრისა და ეროვნული თავდაცვის მინისტრ პატრის დუმუმბასადმი.

კასავუბუმ და დუმუმბამ 14 ივლისს ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც აცნობეს, რომ კონგოს სახელმწიფო ტერიტორია ოკუპირებული აქვთ ბელგიის ჯარებს და რესპუბლიკის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის სიცოცხლე საფრთხეშია. შეძლოა, აღნიშნავენ ისინი, იძულებული გავხდეთ ვითხოვოთ საბჭოთა კავშირის ჩარევა, თუ დასავლეთის ბანაკმა არ შეწყვიტა აგრესია კონგოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის წინააღმდეგ.

ნ. ს. ხრუშჩოვი წერილში ხაზს უსვამს, თუ რა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს კონგოელი ხალხის გმირულ ბრძოლას კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მთლიანობისათვის, რომელიც იმპერიალისტური აგრესიის მსხვერპლი გახდა. იმპერიალისტური ინტერვენცია კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ არის ცდა შეაფერხონ აფრიკის სრული განთავისუფლების პროცესი და, თუ შესაძლოა, უკუღმა დაატრიალონ იგი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ, აღნიშნავს ნ. ს. ხრუშჩოვი, სასარგებლო საქმე გააკეთა, მიიღო რა გადაწყვეტილება, რომელიც ბელგიის მთავრობას მოუწოდებს გაიყვანოს ბელგიის ჯარები კონგოს ტერიტორიიდან.

აგრესია რომ გაგრძელდეს, მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ წარმოიშობა საჭიროება უფრო ქმედითი ღონისძიებანი განხორციელდეს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხაზით, ისე მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ხაზით, რომელნიც კონგოს საქმეს თანაუგრძნობენ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის წერილში ნათქვამია, რომ თუ სახელმწიფოებმა, რომელნიც უშუალოდ ახორციელებენ იმპერიალისტურ აგრესიას კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ და რომლებიც მათ ამ გზაზე აყენებენ, განაგრძეს თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედება, საბჭოთა კავშირი არ მოერიდება გადამწყვეტ ღონისძიებათა განხორციელებას აგრესიის აღსაკვეთად.

საბჭოთა მთავრობას მხედველობაში აქვს, რომ აგრესია კონგოს მიმართ უბრალო ლოკალური კონფლიქტი როდია, და ამ აგრესიის აღკვეთის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის. კონგოს საქმე მთელი ცივილიზებული კაცობრიობის საქმეა.

გულისწყრომა, აღშფოთება

ჟუთაისი, 15 ივლისი. (საქდესი). ქუთაისელი მშრომელები გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვდნენ ცნობებს იმის შესახებ, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები არღვევენ აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის კონგოს სუვერენიტეტს და ერევიან დამოუკიდებელი კუბის რესპუბლიკის საშინაო საქმეებში. ქალაქის საწარმო-დაწესებულებებ ში ხმამაღლა გაისმის მოთხოვნა: ბოლო მოეღოს ამერიკის სამხედრო წრეების პროვოკაციებს! ხელები შორს კუბისა და კონგოსაგან!

— ამერიკის შეერთებული შტატების მმართველები და მათი მოკავშირენი ყურად არ იღებენ გონების ხმას, ანგარიშს არ უწევენ ხალხების ნება-სურვილს, — განაცხადა ელექტრომექანიკური ქარხნის მჭედლმა ფ. ანოსაშვილმა. — მაგრამ მატონ იმპერიალისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ახლა სხვა დროა. საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ხალხები არ დაანებებენ მათ, რომ ხელი შეუშალონ კუბელი და კონგოელი ხალხების ბრძოლას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, კაპიტალისტური მონოპოლიების კაბალისაგან განთავისუფლებისათვის.

კლენუმის აღსანიშნავად

იზო წოწონავას ახალი რეკორდი

ფულუკიძე. (საკ. კორ.). 14 ივლისს [illegible]ერეულებრივი გამოცდილება იყო [illegible]ლაქეს ვ. სტურუას სახელობის კოლ[illegible]ეურნეობაში. რაიონის ხელმძღვანელი[illegible]ორგანოების წარმომადგენლების, სპეციალისტების ყურადღების ცენტრში [illegible]და კომკავშირელი მეჩაიის იზო წოწონავას სარეკორდო კრეფის დღე.

ამ დღის შედეგების შესახებ „კომუნისტს“ საკუთარმა კორესპონდენტმა [illegible]ავცნობა: რაიონში ცნობილი გახდა [illegible]ზო წოწონავას სახელი. იგი 0.4 ჰექტარ პლანტაციას უკლის და ნაკისრი [illegible]ქვს მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრიფა 4.600 კილოგრამზე მეტი. სანინულოდ მოვლილ პლანტაციაში უხვად [illegible]ემოვიდა საკრეფი ნედლეული.

იზო წოწონავამ დაიწყო პირველი [illegible]ეტეკვა. 1 ივლისს მოკრიფა 183 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 4 ივლისს — 312 [illegible]ილოგრამი, ხოლო 14 ივლისს ყოველ[illegible]ვარ მოლოდინს გადაჭარბა. დღის 1 [illegible]საათისათვის მოკრეფილი ჰქონდა 300 [illegible]ილოგრამი. შუადღისას შეისვენა, შემდეგ კვლავ შეუტია უხვად შემოსულ ფოთოლს და საღამოსათვის 131 კილოგრამი მოკრიფა. ამრიგად, სახელოვანმა მეჩაიემ იზო წოწონავამ ერთ [illegible]ღეს 431 კილოგრამი ხარისხოვანი [illegible]ის ნედლეული მოკრიფა. მან ეს წარ[illegible]ატება მიუძღვნა პარტიის ცენტრალუ[illegible]ი კომიტეტის ივლისის პლენუმს, რო[illegible]ელიც მოსკოვში მიმდინარეობს.

იზო წოწონავამ 14 ივლისს 31 შრომელი გამოიმუშავა და წინასწარი გაანგარიშებით ფულადი და ნატურალური ანაზღაურების სახით დაახლოებით [illegible]000 მანეთს მიიღებს.

საგულისხმოა, რომ ამ წარჩინებულ[illegible]ს მკრეფველმა ეოგონამ შარშან დაამთავ[illegible]ა საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში მეჩაიეთა რგოლს ხელმძღვანელობს. რგოლმა უკვე შეასრულა წლიური დავალება. მოკრიფა 21 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 18 ტონისა. იზო წოწონავამ პირობა დადო ნაკისრი ვალდებულება 1 აგვისტომდე შეასრულოს და სურვილი გამოთქვა მეტი ჩაისათვის ბრძოლაში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიოს ჩვენი რესპუბლიკის ყველა წარჩინებული მეჩაიე.

სურათზე: მეჩაიე რეკორდსმენი იზო წოწონავა.

კონგოს კონფლიქტი უბრალო საქმე როდია

შავი აფრიკის კონტინენტის ამბები იმპერიალისტ კოლონიზატორთა გაცოფებას იწვევს. კოლონიზატორები ვერ შერიგებიან იმას, რომ კოლონიური სისტემის უკანასკნელი საყრდენები ინგრევა.

1960 წელი სამართლიანად მიჩნეულია აფრიკის განთავისუფლების წლად. აფრიკელი ხალხის მამაცური ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის დიდებულ ნაყოფს იძლევა. მაგრამ იმპერიალისტი კოლონიზატორები თავიანთ ბატონობას ნებით არ თმობენ, თუმცა მათი ყბადაღებული პროპაგანდა ყოველივე ამას პირიქით ხატავს. ნათქვამია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, და ეს ხალხური სიბრძნე ნათლად დასტურდება კოლონიზატორების პოლიტიკით კონგოს მიმართ. კონგოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭებამ გააცოფა კოლონიზატორები. მათ სურდათ კონგოს დამოუკიდებლობა მხოლოდ ფორმალური ამრა ყოფილიყო ძველი შინაარსით. მათ უნდათ, რომ კონგოს ჯარებს კვლავ ხელმძღვანელობდნენ ბელგიელი გენერლები და ოფიცრები, რომ კონგოს საშინაო და საგარეო საქმეებში ხელმძღვანელი როლი ისევ ბელგიის სახელმწიფოს ეკუთვნოდეს, ხოლო ქვეყნის ეროვნული შემოსავლიდან ძველებურად უდიდეს ნაწილს კოლონიზატორები იღებდნენ. მაგრამ ხმა აღმაღლა კონგოს ხალხმა, რომელმაც იგემა თავისუფლების სითბო და ახალ ცხოვრებას ესწრაფვის.

ბელგიელი კოლონიზატორები, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ ნატოში შემავალი სახელმწიფოები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ყოველნაირ პროვოკაციებს აწყობენ. ისინი მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის თვალწინ გაშიშვლდნენ და აშკარად დაადგნენ ახლადშობილი დამოუკიდებელი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის გზას. კონგოს ტერიტორიაზე კანტანგის პროვინციაში უკვე შევიდნენ ინგლისის ჯარები. კონგოს დედაქალაქ ლეოპოლდვილში შეიჭრნენ ბელგიის პარაშუტისტები. თითქოს რესპუბლიკიდან მიმავალ ამერიკელ მოქალაქეთა დასაცავად მოიწევენ ამერიკის შეიარაღებული ძალები. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხროვას ამჯერადაც, ისე როგორც კორეაში 1950 წელს, განზრახული აქვს კონგოს წინააღმდეგ გამოვიდეს გაერთიანებული ერების ალმით. და ყოველივე ამას სჩადიან ურანისა და სხვა სტრატეგიული ნედლეულის გულისათვის, რომლითაც ესოდენ მდიდარია კონგოს წიაღი.



მაგრამ მტაცებელთა ვარაუდები განწირულია ჩახაფშვამდე. ისინი თვალს ვერ აუხვევენ მშვიდობისა და თავისუფლებისმოყვარე ხალხებს. სსრ კავშირის მთავრობამ დასავლეთ სახელმწიფოთა მთავრობებს მიმართა განცხადებით დამოუკიდებელი კონგოს რესპუბლიკის მიმართ იმპერიალისტურ ინტერვენციასთან დაკავშირებით. საბჭოთა მთავრობა გაფრთხილებას იძლევა იმ მძიმე პასუხისმგებლობის გამო, რაც აკისრიათ დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელ წრეებს, რომლებმაც აგრესია წამოიწყეს კონგოში, და მტკიცედ მოითხოვს მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

საბჭოთა ხალხი ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად გადაჭრით გმობს მუხანათურ აგრესიას და ხმამაღლა აცხადებს: ხელები შორს თავისუფალი კონგოსაგან!

შეწყდეს აგრესია!

თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ მშრომელებმა, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელი, შეუნელებელი ინტერესით ადევნებენ თვალყურს კუბისა და კონგოს რესპუბლიკების ხალხთა ხანგრძლივ და მამაცურ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

15 ივლისს, ფაბრიკის ეზოში, გაიმართა მიტინგი კუბისა და კონგოს ხალხთა იმ სამართლიანი მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა შეწყვიტონ ამ ხალხების საშინაო საქმეებში ჩარევა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გმობენ იმპერიალისტების უკანონო მოქმედებას კუბისა და კონგოს რესპუბლიკების წინააღმდეგ, მხარს უჭერენ საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას. (საქდესი).

ჩვენ თქვენთან ვართ, აფრიკელო მეგობრებო!

„მშვიდობა და მეგობრობა!“ ამ სიტყვებს შეხვდებით თბილისის ქამელ-მაუდის, კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ყოველ საამქროში. ამ მაღალ და კეთილშობილური მისწრაფებებით გამსჭვალულია ქართველ მემატყლეთა მთელი ცხოვრება.

კომბინატის ვრცელი კლუბი სავსეა მუშებით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით და მოსამსახურეებით. ისინი შეკრებილნენ, რათა გულისწყრომა გამოთქვან მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს დაარღვიოს უბრალო ადამიანების სიმშვიდე.

— ამ დღეებში, — ამბობს მუშა გ. ბეგაშვილი — მთელმა მსოფლიომ დაინახა ამერიკის იმპერიალიზმის ნამდვილი სახე, მსოფლიო საზოგადოებრიობა ერთხელ კიდევ დარწმუნდა შეერთებული შტატების და მათი მოკავშირეების მთავრობათა თვალთმაქცობაში. მაგრამ, დაე ნუ დაიკიწყებენ გათავხედებული იმპერიალისტები, რომ კუბელი და კონგოელი ხალხები მარტონი როდი არიან. მათთან ერთად არის ძლევამოსილი სოციალისტური ბანაკი, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

— საჭიროა ავლაგმოთ აგრესორები, რათა მათ ვერასოდეს ვერ შეძლონ ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრების ხელყოფა, — ეს აზრი გაისმოდა საწარმოს მუშაკების რ. კუპრავას, ი. ჯორჯაძის, ს. რიბაკოვის გამოსვლებში. და რეზოლუციაში, რომელიც ერთსულოვნად მიიღეს მატანგის მონაწილეებმა. (საქდესი).

დიდი შრომითი გამარჯვება

საქართველოს კომპარტიის სტალინირის რაიკომის მდივანს ამხანაგ ი. ვ. ხაბალაშვილს

სტალინირის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ლ. მამისაშვილს

საქართველოს ალკკ სტალინირის რაიკომის მდივანს ამხანაგ ბ. ე. კოკოევს

სტალინირის რაიონის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გილოცავთ დიდ შრომით წარმატებებს — სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმის შესრულებას 101 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით, რძის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმის შესრულებას 129,9 პროცენტით და მატყლისა — 134,8 პროცენტით.

შესანიშნავი წარმატებანი, რომლებიც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში მოიპოვეთ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, კოლმეურნეთა, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანოების მუშაკთა, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის თავდადებული შრომისა და მონდომების გამოცდილებიაა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების მიღწევათა ბეჯითად დანერგვის შედეგია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის, მათი თვითღირებულების შემცირების, ბაღებისა და ვენახების გაშენების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების დიდი ვალდებულებანი, რომლებიც თქვენ იკისრეთ 1960 წლისათვის, პირნათლად იქნება შესრულებული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

14 ივლისის დილის სხდომა

მოხსენებები დამთავრდა. პლენუმის მონაწილენი იწყებენ მათს განხილვას.

სიტყვა ეძლევა სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის მდივანს **ლ. ნ. ეფრემოვს.** გორკის ოლქის მრეწველობის მუშაკებმა, აბმობს იგი, 1959 წელს ვადამდე შეასრულეს სახელმწიფო გეგმა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მათ აგრეთვე ბევრი პროდუქცია გამოუშვეს გეგმის გადამეტებით. წარმოების ზრდის მიღწეული ტემპი შესაძლებლობას აძლევს გორკელებს უკვე 1961 წელს მანქანათმშენებლობის პროდუქციის მხრივ მიაღწიონ იმ დონეს, რომელიც დაგეგმილია 1962 წლისათვის, ხოლო ფოლადისა და ნაგლინის მხრივ — 1963 წლისათვის.

ორატორი აბმობს, რომ ოლქის სამრეწველო საწარმოებში წარმოებიდან ხსნინან მოძველებულ ნაკეთობებს და ცვლიან ახლებით. წელიწადნახევარში შექმნილია 155 სახეობის ახალი მანქანები, მექანიზმები, ხელსაწყოები. ტექნიკურად უფრო სრულყოფილ სახეობათა მოწყობილობის ათვისება ხორციელდება პროგრესული ტექნოლოგიის ბაზაზე.

აღნიშნა რა, რომ საოლქო პარტიული ორგანიზაცია იღებს ღონისძიებებს, რათა უსწრაფესად აღმოფხვრას ოლქის მრეწველობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, აბმ. ეფრემოვი ხაზს უსვამს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციების შემდეგ ყველა საწარმოში შექმნილ სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის უფლების განხორციელების კომისიებს.

ორატორი შეეხო ოლქის მოქმედ საწარმოთა ტექნიკური ხელახალი შეიარაღების საკითხებს, ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდ რეზერვებს შეიცავს ქარხნების რეკონსტრუქცია. აღნიშნა რა მიღწეულები, რომლებიც არის ქიმიური მრეწველობის წარმოების ავტომატიზაციაში, აბმ. ეფრემოვმა თქვა, რომ აღსა ცალკეული ავტომატური მოწყობილობა მზადდება ოლქის საწარმოებში. მაგრამ ეს არ ემარა. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტმა სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად უმოკლეს ვადაში უნდა შექმნან უფრო მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზები, მოაგვარონ ქიმიური მრეწველობის ავტომატიზაციის სხვადასხვა საშუალებათა წარმოება.

სიტყვას აბმობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი **ვ. ა. ტრაპეზნიკოვი.** იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული კვლევის ფართოდ გაშლას ავტომატიკის დარგში და ამ აღმოჩენათა სწრაფი რეალიზაციისათვის პირობების შექმნას.

— ავტომატიზაცია მომავლის ტექნიკაა, — განაცხადა აკადემიკოსმა, — და ეს მომავალი ახლა იკვეთება ლაბორატორიებში, ექსპერიმენტულ საამქროებში, საპროექტო ორგანიზაციებში. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად იქნება უკვე ეფექტიანებული მათი მუშაობა, დამოკიდებულია ხვალინდელი დღის ავტომატიზაციის დონე.

აბმ. ტრაპეზნიკოვი აბმობს, რომ ჩვენი მეცნიერება ბევრ რამეში უსწრებს წინ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მეცნიერებას. საბჭოთა მეცნიერების თეორიულ და ექსპერიმენტულ ნაშრომთა შედეგად მოხერხდა ავტომატიკის, ტელემექანიკის ბევრი რთული მოწყობილობის, მათ შორის კოსმოსური რაკეტების ავტომატური მართვის სისტემის დაპროექტება და აგება. ჩვენმა მეცნიერებმა წარმოაყენეს მთელი რიგი ახალი იდეები, რომლებიც უკვე ფართოდ არის გამოყენებული პრაქტიკაში.

ამასთან ერთად აკადემიკოსი ტრაპეზნიკოვი აღნიშნავს, რომ ავტომატიკის დარგში კვლევის ტემპები და გაქანება ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გაშალოს ფუნდამენტალური თეორიული და საძიებო სამუშაოები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ავტომატიზაციის ამოცანების გადაჭრა. ახლა მთავარი პრობლემა გახდა ყველაზე რთული ობიექტებისათვის მართვის ახალი მაღალხარისხოვანი სისტემების შექმნის პრობლემა.

ორატორს შეაქვს წინადადება გადიდდეს ასიგნებანი სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის, ექსპერიმენტული საამქროებისა და საქარხნო ლაბორატორიებისათვის. იგი აბმობს, რომ საჭიროა მოეწყოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და ქარხნების ერთობლივი მუშაობა მომავალი პროდუქციის დამუშავების ჯერ კიდევ ადრე სტადიაზე.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. ა. კუნაევმა** თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მოწვევის წინასწარი შეტყობინების პრაქტიკა დიდმნიშვნელოვანი ძაორგანიზებელი და მამობილიზებელი ფაქტორი გახდა. ცნობამ ამ პლენუმის მოწვევის შესახებ დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია ყაზახეთის მშრომელებში. ამან საშუალება მისცა რესპუბლიკას 24 ივნისისათვის შეესრულებინა მრეწველობის პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

დიდი აღმავლობის გზაზეა ყაზახეთის ეკონომიკა, სადაც სამეურნეო ბრძოლაში ჩაბმულია უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები. ამ დღეებში სოციალისტიკიდან გადაეცა ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნის პირველი ბრამეული, რითაც დასაბამი მიეცა რესპუბლიკაში დიდი ზავი მეტალურგიის შექმნას. ახლა ყაზახეთის მაგნტკის, აგრეთვე ჯეზკაზგანის, უსტ-კამენოგორსკის, ჩიმკენტის, ყარაგანდის მშენებლები მტკიცედ იბრძვიან ახალ სიმძლავრეთა ვადამდე ამუშავებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის. ორატორს მოჰყავს ბევრი მკაფიო ფაქტი. მაგალითად, მადნების მოპოვების მექანიზაციამ მიწისქვეშა მუშების შრომის ნაყოფიერება 2-3-ჯერ გადიდა.

წელს ყაზახეთის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ მშენებლობაზე ათვისებულ უნდა იქნას დაახლოებით 17 მილიარდი მანეთი. მაგრამ დღემდე რესპუბლიკაში, აღნიშნავს აბმ. კუნაევი, ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ მძლავრი სამშენებლო ბაზა. მშენებელი ორგანიზაციები განიცდიან ტექნიკის, ლითონის, მასალების ნაკლებობას. ყოველივე ამაში მათ ესაჭიროებათ ცენტრალური ორგანოების მნიშვნელოვანი დახმარება.

აბმ. კუნაევი შემდეგ აყენებს საკითხს, რომ მიზანშეწონილია ყაზახეთში აგროს კიდევ ორი-სამი მეტალურგიული ქარხანა, სადაც საბჭოთა ყაზახეთის ეკონომიკა, სადაც სამეურნეო ბრძოლაში ჩაბმულია უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები. ამ დღეებში საყმაწვილო-ალუმინიუმის ქარხანა ალაპარაკობს წარმოების შინაგანი რეზერვების გამონახვისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. საწარმოში გაჩაღებულ დიდ მუშაობაზე. მუშების უყოყოყოდ აქტიური მონაწილეობით შემუშავებულია ღონისძიებანი ალუმინის ნედლეულის გადიდებისათვის. ეს მუშაობა დამთავრდება 1960-1961 წლებში. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის ტექნიკური დონის დათვალიერება, რაც პერიოდულად ეწყობა. მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ დათვალიერებაში ასი ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, განხილულ იქნა 16 ათასზე მეტი სამრეწველო ნაკეთობა, რომელთაგან ნახევარ ათასი საპირისპირო შეიცვალოს ან მოდერნიზებულ იქნას.

ამბ. ციგალინი შემდეგ ეხება დაგეგმვის გაუმჯობესებას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების საკითხებს.

სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ი. ვ. სპირიდონოვმა** იღაპარაკა იმაზე, თუ როგორ აჩქარებენ ლენინგრადელები ტექნიკური პროგრესის ტემპებს. 1959-1961 წლების განმავლობაში დასახული იყო 600 ნაკეთობის მოდერნიზაცია და 1.600 ნიმუშის მანქანებისა და ხელსაწყოების ახლად ათვისება, ფაქტიურად კი უკვე ამჟამინდე წლის დამდეგისათვის მოდერნიზებულ იქნება 600-ზე მეტი და ახლად ათვისებულ იქნება 1.800-ზე მეტი ნაკეთობა, მათ შორის მოძველებულთა შესაცვლელად — დაახლოებით 450 ნაკეთობა. ამრიგად, ვალდებულებები ერთი წლით ადრე შესრულდება.

მიმდინარე წელს დასახულია ნაკეთდეს შარშანდელზე ერთიორად მეტი ახალი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა. წარმატებით სრულდება აგრეთვე ლენინგრადელთა ვალდებულება, რომ შვიდწლედის დამთავრებისათვის, ფონდის გადამეტებით გამოუშვან საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კონტროლისათვის 1 მილიარდი მანეთის სხვადასხვა ხელსაწყო.

უერთდება რა იმას, რაც ამ პლენუმზე ითქვა იმის შესახებ, რომ საჭიროა სამეცნიერო-საკვლევნი ინსტიტუტებმა და საკონსტრუქტორო ბიუროებმა უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ სამრეწველო საწარმოებთან და სახალხო მეურნეობის საბჭოებთან, აბმ. სპირიდონოვი მიზანშეწონილად თვლის ამ ინსტიტუტებისა და ბიუროების მთავარი ყურადღება მიეპყროს სამეცნიერო პრობლემებისა და პრინციპულ საკონსტრუქტორო დამუშავებათა გადაჭრას, ხოლო სამუშაო დაპროექტება გადაეცეთ ქარხნების საკონსტრუქტორო ბიუროებს.

შრომის ნაყოფიერების დონე, რომელსაც ჩვენმა საწარმოებმა მიაღწიეს, შენიშნავს აბმ. სპირიდონოვი, ჯერ კიდევ ჩამორჩება უცხოეთის საუკეთესო ქარხნების დონეს. ეს იმით აიხსნება, რომ სრულყოფილი არ არის წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, რომ მნიშვნელოვნად გამოყენებულია ხელის შრომა. თუ ახალ ნაკეთობათა პროექტების შესამუშავებლად ჩვენში არსებობს მრავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საკონსტრუქტორო ბიუროები, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების დარგში ისინი მხოლოდ ერთეულები გვაქვს. საჭიროა სერიოზულად ავამაღლოთ წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის დონე.

გამოდის ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **ა. მ. ტარასოვი.** ბელორუსიის საწარმოთა კოლექტივებმა, აბმობს იგი, დიდ აყურადღებას უთმობენ გამოშვებული მანქანების, ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობათა ტექნიკური დონის აწევას. ეს ნაკეთობათა ბაზაზე ეფექტიანი ინსტიტუტებისა და ბიუროების მთავარი ყურადღება მიეპყროს სამეცნიერო პრობლემებისა და პრინციპულ საკონსტრუქტორო დამუშავებათა გადაჭრას, ხოლო სამუშაო დაპროექტება გადაეცეთ ქარხნების საკონსტრუქტორო ბიუროებს.

შრომის ნაყოფიერების დონე, რომელსაც ჩვენმა საწარმოებმა მიაღწიეს, შენიშნავს აბმ. სპირიდონოვი, ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. ეს იმით აიხსნება, რომ სრულყოფილი არ არის წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, რომ მნიშვნელოვნად გამოყენებულია ხელის შრომა. თუ ახალ ნაკეთობათა პროექტების შესამუშავებლად ჩვენში არსებობს მრავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საკონსტრუქტორო ბიუროები, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის გაუმჯობესების დარგში ისინი მხოლოდ ერთეულები გვაქვს. საჭიროა სერიოზულად ავამაღლოთ წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის დონე.

გამოდის ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **ა. მ. ტარასოვი.** ბელორუსიის საწარმოთა კოლექტივებმა, აბმობს იგი, დიდ ყურადღებას უთმობენ გამოშვებული მანქანების, ხელსაწყოებისა და სხვა ნაკეთობათა ტექნიკური დონის აწევას. ეს ნაკეთობათა ბაზაზე ეფექტიანი ინსტიტუტებისა და ბიუროების მთავარი ყურადღება მიეპყროს სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებისა. ეს მუშაობა დამთავრდება 1960-1961 წლებში. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს პროდუქციის ტექნიკური დონის დათვალიერება, რაც პერიოდულად ეწყობა. მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ დათვალიერებაში ასი ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა, განხილულ იქნა 16 ათასზე მეტი სამრეწველო ნაკეთობა, რომელთაგან ნახევარ ათასი საპირისპირო შეიცვალოს ან მოდერნიზებულ იქნას.

ამბ. ციგალინი შემდეგ ეხება დაგეგმვის გაუმჯობესებას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების საკითხებს.

სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანმა **ი. ვ. სპირიდონოვმა** იღაპარაკა იმაზე, თუ როგორ აჩქარებენ ლენინგრადელები ტექნიკური პროგრესის ტემპებს. 1959-1961 წლების განმავლობაში დასახული იყო 600 ნაკეთობის მოდერნიზაცია და 1.600 ნიმუშის მანქანებისა და ხელსაწყოების ახლად ათვისება, ფაქტიურად კი უკვე ამჟამინდე წლის დამდეგისათვის მოდერნიზებულ იქნება 600-ზე მეტი და ახლად ათვისებულ იქნება 1.800-ზე მეტი ნაკეთობა, მათ შორის მოძველებულთა შესაცვლელად — დაახლოებით 450 ნაკეთობა. ამრიგად, ვალდებულებები ერთი წლით ადრე შესრულდება.

მიმდინარე წელს დასახულია ნაკეთდეს შარშანდელზე ერთიორად მეტი ახალი მანქანები, ხელსაწყოები და მოწყობილობა. წარმატებით სრულდება აგრეთვე ლენინგრადელთა ვალდებულება, რომ შვიდწლედის დამთავრებისათვის, ფონდის გადამეტებით გამოუშვან საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კონტროლისათვის 1 მილიარდი მანეთის სხვადასხვა ხელსაწყო.

ეხება რა ტრანსპორტის ახალი ტექნიკა, აკრძოდ უფრო გაუმჯობესებული ლოკომოტივებით აღჭურვის ღონისძიებებს, აბმ. ბეშჩევი აბმობს, რომ წელს მთავრდება მსოფლიოში უდიდესი მაგისტრალის — მოსკოვ-ირკუტსკის მაგისტრალის ელექტროფიკაცია.

15 ივლისის დილის სხდომა

15 ივლისს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა, თუ როგორ სრულდება სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ.

პირველი გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების **პრეზიდიუმის** თავმჯდომარის მოადგილე **აკადემიკოსი ხ. ა. ხრისტიანოვიჩი.**

მიუხედავად იმისა, რომ განვითარდა ატომური ენერგეტიკა, ჰიდროტექნიკური მშენებლობა და გვაქვს ენერგიის მიღების სრულიად ახალი შესაძლებლობანი, რომლებსაც იძლევიან ნახევარგამტარი თერმოელემენტები და ფოტოელემენტები, აბმობს ორატორი, ელექტროენერგიის ძირითადი წყარო ჯერ კიდევ დიდხანს იქნება თბოსადგურები, რომლებიც ბევრი ადგილი გაბით, მახუთითა და ქვანახშირით მუშაობენ. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია ის საკითხი, რომ მკვეთრად შემცირდეს თბოელექტროსადგურების მშენებლობის ღირებულება და შემცირდეს ამ სადგურებში გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება.

აკადემიკოსი ხრისტიანოვიჩი ხაზს უსვამს, რომ თბოენერგეტიკაში მომავალი ეკუთვნის ორთქლგაზის ტურბინას, რომელსაც უპირატესობა აქვს გაზის და, მით უფრო, ორთქლის ტურბინებთან შედარებით. მეცნიერებათა აკადემიის ცამბრის განყოფილებამ, აბმობს იგი, ლენინგრადის ლითონის ქარხანასა და მოსკოვის ინსტიტუტ „თბოელექტროპროექტთან“ თანამშრომლობით შეიმუშავა ორთქლგაზის ტურბინისა და ყველა მისი აგრეგატის პრინციპული სქემა. ამის საფუძველზე განხორციელდა ასეთი სქემის ტექნიკური შედარება სადგურებთან, რომლებსაც ორთქლისა და გაზის ტურბინები აქვთ.

წინასწარმა ანალიზმა ცხადყო, რომ ამ სადგურების აგება ერთნახევარჯერ უფრო ძვირი ჯღება, ვიდრე ორთქლგაზის ტურბინებიანი სადგურებისა; მაშინ როცა ამ უკანასკნელი სადგურების ეკონომიურობა 20 პროცენტით მეტი იქნება. გარდა ამისა, ორთქლგაზის ტურბინიანი სადგურის მშენებლობისაგვის საჭირო იქნება ორ-სამჯერ ნაკლები ლითონი.

ორატორს საჭიროდ მიაჩნია დაიწყოს ოთქლგაზის ტურბინის ტექნიკური პროექტის შექმნა, შემდეგ კი ასეთი ტურბინები აღჭურვილი საფეხურებით.

ეხება ენერგეტიკა, ბევრი ორთქლენერგიის ძირითადი წყარო ჯერ კიდევ დიდხანს იქნება თბოსადგურები, რომლებიც ბევრ ადგილ, ბევრ ნედლეულ, ბევრ ენერგიასა და ადამიანურ ძალებს მოითხოვენ. ამ მიმართულებით ბევრ ადგილ

ნათელი გზით

ქვემოაკეთელეგთან

ვიუროგოთ, ვიცხოვროთ და ვისწავლოთ კომუნისტურად! — ასე გადაწყვიტეს ქვემოაკეთელმა კოლმეურნეებმა და „ამ კეთილშობილურ სურვილებს საქმით შეასხეს ფრთები. ახლა ისინი საამაყო შრომითს მაგალითებს უჩვენებენ, ყოველწლიურად ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, ადიდებენ მეცხოველეობის პროდუქტიულობას, და კიდევაც ხარობენ თავიანთი ნაამაგარით.

ქვემოაკეთის კოლმეურნეობაში წამყვანი დარგი მეჩაიეობაა. ამასთან, ფართოდ ვითარდება ერთწლიანი კულტურების, უმთავრესად სიმინდის წარმოება, მეცხოველეობა, მეაბრეშუმეობა, მეციტრუსეობა.

მიღწევებს გამრავლება უნდა. ასე იქცევიან ქვემოაკეთელებიც. წლის დასაწყისში მათ იკისრეს სამშობლოს მისცეს ნახევარი მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 30.000 კილოგრამით მეტი შარშანდელზე, ხოლო ფოთლის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 5.200 კილოგრამამდე აიყვანონ.

ქვემოაკეთელები დილიდან გვიან ღამემდე თავს დასტრიალებენ ჩაის პლანტაციებს, სანიმუშოდ უვლიან, ნიადაგში შეაქვთ სასუქები, თოხნიან, კრეფენ განუწყვეტლივ და ყოველგვარ ამინდში. ძნელია იპოვნოთ გაუხეშებული ფოთოლი პლანტაციებში.

საქმიანად, უნარიანად უწევს ხელმძღვანელობას ქვემოაკეთელ კოლმეურნეებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნესტორ ღლონტი. ყურს უგდებენ, სჯერათ მისი სიტყვა. აბა ნესტორი ისეთს რას იტყვის, რომ დიჯად არ ასწონ-დასწონოს და არ შეასრულოს. ამიტომაც სარგებლობს იგი კოლმეურნეთა სიყვარულით, პატივისცემით და საქმეც კარგად მიდის. ქვემოაკეთის კოლმეურნეობა ყველაზე მოწინავედ ითვლება რაიონში. და განა მარტო ჩაის დარგში, არა, ყველა დარგში, უკვე დღემდე მოკრეფილია სამასამდე ტონა ჩაის ფოთოლი, წლიური ვალდებულების ნახევარზე ბევრად მეტი.

გულდაგული კრეფით გაითქვეს სახელი მეჩაიეებმა თეო გოგელიამ, მარო ქურიძემ, მაგლონია კალანდაძემ, მოხუცებმა ნინა ღლონტმა, ნატაშა სამსონიამ, ახალგაზრდებმა ეთერ მორჩილაძემ, მაყვალა ღლონტმა, ეთერ ქარსელაძემ, ზინა მორჩილაძემ და სხვებმა. მათ მდიდარ გამოცდილებას ფართოდ განაზოგადებენ კოლმეურნეობის აგრონომი ალექსანდრე მორჩილაძე და კოლმეურნეობის აქტივი.

სიმინდის მოყვანის კარგი ტრადიციაც აქვთ ქვემოაკეთელებს. შარშან 180 ჰექტარი ხაკვეთის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 32,5 ცენტნერი მარცვალი აიღეს. წელს აგროვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარეს საგაზაფხულო ჩიხათესვა, ნათესების გათოხნა. უკვე ემზადებიან ალარ იწვეს აღებულ ვალდებულებათა განაღდება — 35 ცენტნერი სიმინდი აიღონ თვითეულ ჰექტარზე.

არც პირუტყვს აკლებენ მოვლა-პატრონობას ქვემოაკეთელები. მერძეული ძროხები მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია ნოყიერი საკვებით. წველადობა მატულობს ყოველწლიურად: ქვემოაკეთელმა მეცხოველეებმა იკისრეს ასი ძროხიდან თვითეულზე მიიღონ 1.700 კილოგრამი რძე. ეს ყველაზე დიდი ვალდებულებაა რაიონში.

გადაჭარბებით სრულდება ხორცისა და რძის წარმოებაში ნაკისრი ვალდებულებანი.

ხორცის წარმოებაში დიდ როლს ასრულებს მეღორეობა. მეღორე გრიგოლ მორჩილაძე მოსარდ ღორებს კვებავს რძის ნარჩენით — შრატით, რასაც საუკეთესო შედეგი მოაქვს.

კოლმეურნეობამ დიდი ხანია შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური ვალდებულება. დიდია მეცხოველეობის დარგში მოპოვებული მიღწევები. მთელი გულისყურით, მოხდომებით წარმართავს მეცხოველეობის საქმეს ქვემოაკეთში ზოოტექნიკოსი მ. ბალთათაშვილი.

— გვექნება ოთხ მილიონ ორასი ათასი მანეთი ფულადი შემოსავალი, გაიზრდება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, — აცხადებს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი გრიგოლ ჯოგუაძე. განუყოფელი ფონდის ზრდა საშუალებას იძლევა ფართოდ განხორციელდეს სოფლის მოსახლეობის კულტურული მომსახურება, ამაღლდეს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები.

სოფელი მთლიანად რადიოფიცირებულია. ადგილობრივი რადიოკვანძი ყოველ საღამოს გადასცემს ქვეყნის ახალ ამბებს და შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეთა მაჩვენებლებს ამცნობს მსმენელებს. მოსახლეობას კარგად ემსახურებიან კლუბი და თვითმოქმედი წრეები, რომლებიც რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის ემზადებიან, სისტემატურად უჩვენებენ ახალ ფილმებს, ნორმალურად მუშაობს აბანო, მაღაზია, ფურნე, სასადილო; დამაჯერებლად ასახავს სოფლის მშრომელთა მუშაობას და კულტურულ ცხოვრებას ყოველკვირეული კედლის გაზეთი „ლენინის გზით“.

შვიდწლედის მეორე წლის დასაწყისიდან ქვემოაკეთელი კოლმეურნეები უფასოდ სარგებლობენ საკოლმეურნეო წისქვილით, უფასოა რადიომომსახურებაც. მალე უფასო იქნება ელექტროგანათებაც.

ამას წინათ ქვემოაკეთის კოლმეურნეობა შეჯიბრებაში გამოიწვია ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის კოლმეურნეობამ. ჩაისუბნელებიც ჩაებნენ თავიანთი სოფლის კომუნისტური შრომის სოფლად გადაქცევისათვის ბრძოლაში.

აი, რა მისწერეს მეზობლებს ქვემოაკეთელებმა:

მოდით, ამხანაგებო, საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ვიშრომოთ, ვიცხოვროთ, ვისწავლოთ კომუნისტურად, მუდამ ვიყოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის დიდი საქმის, კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში.

მ. ბარამიძე.

ლანჩხუთი.

ქალიშვილი ტრაქტორის საჭესთან

ნანული კაპანაძის თაოსნობა

ეს იყო გაზაფხულის მშვენიერ დილით. საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მუშა ქალები ზვრებში სამუშაოდ მიდიოდნენ.

— გოგოებო, ხედავთ, იმ ტრაქტორებზე რა მთასავით ვაფაცები სხედან, — უთხრა ნანული კაპანაძემ დობილებს და ხელი იქით გაიშვირა, სადაც ტრაქტორისტები უკვე შესდგომოდნენ თავიანთ საქმეს, რა იქნება, რომ ჩვენ, ქალებმა, შევცვალოთ მანქანის საჭესთან ვაფაცები?

მეორე დღესვე ნანული კაპანაძემ სოხოვა საბჭოთა მეურნეობის დირექციას საშუალება მიეცა მისთვის დაუფლებოდა ტრაქტორისტის სპეციალობას, ამასთან თანატოლ გოგონებს მოუწოდა მიებაძნათ მისთვის, შეესწავლათ ტრაქტორი და უახლოეს დროში მიეღწიათ იმისათვის, რომ საბჭოთა მეურნეობის ყველა ტრაქტორზე მამაკაცების მაგივრად საჭესთან თვითონ დაეკავებინათ ადგილი.

ნანული კაპანაძემ ენერგიულად მომკიდა ხელი ტექნიკის შესწავლას და ამ საქმეში სხვებიც აიყოლია. საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციამ დროულად მიაქცია ყურადღება ნანულის თაოსნობას. მალე მეურნეობაში კომკავშირული კრება გაიმართა. კრებაზე პირველნი გამრავიდნენ სიტყვით გოგონები ტასო ქემრტელიძე, გოგოლია კუსიანი, თინა წიგნაძე, ლალი ამთუთიძე, თამარ, ნატო და ლალი დეკანოიძეები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ნანული კაპანაძეს.

საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას დღეისთვის 211 ჰექტარი ვენახი აქვს. არ გაიკლის დიდი დრო, და ეს ციფრი 425-მდე გაიზრდება.

თქმა არ უნდა, რომ ტრაქტორისტი ქალების შრომა გარკვეულ წვლილს შეიტანს საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზებული წესით დამუშავების საქმეში.

კ. მიოკაძე.



მცხეთა! თვითეული ჩვენგანის გულს ათბობს საქართველოს ამ უძველესი დედაქალაქის ხსენება. გვიყვარს ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორია, მისი დიდი წარსული. ხალხი მუდამ გულითადი პატივისცემით, მოკრძალებით ინახავს იმათ ხსოვნას, ვინც დიდებით შემოსა მამული.

საქართველოს ძველი დედაქალაქი მემატიანედ დგას ყველაფერში ჩაფლული დღევანდელი მცხეთა. ზაპესის წინ შეტბორილა მრავალ დრო-ჟამის მოწმე მტკვარი. ნაპირებთან ამაღლებულა ჩვენი სამშობლოს დედამფინარე. წყალს დაუფარავს პომპეოსის უძველესი ხიდი და ტაძრებთან მიბრალა ელექტრობის გასაჩენად. ილიჩის შუქი შემკაშკაშებს ჯვარის მონასტერს. მთიდან გადმოსცქერიან მეხუთე საუკუნის უდიდესი ძეგლი ჩვენი რესპუბლიკის პირველ კიდროელსადგურს — ზაპესს.

აქვე, მცხეთაში, საქართველოს საამაყოდ დგას ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი — სვეტიცხოველი. ლეგენდად ქცეულა დიდებული ტაძრის აგების ამბავი. სახელგანთქმული ხუროთმოძღვრის არსაკიძის ამ ბრწყინვალე ქმნილებას მზრუნველობით უვლის საბჭოთა საქართველო.

საიდან არ მოდიან ამ მშვენიერი ძეგლების სანახავად. და ეს არც არის საკვირველი. ჯვარი და სვეტიცხოველი ძველი ქართული კულტურის სწორუპოვარი საუნჯეა. ამიტომ გვიყვარს, ვუვლით და ვიცავთ დიდებით მოსილ ძეგლებს.

* * *

სურათებზე: ზეკით — მცხეთის ხედი, სვეტიცხოველის ტაძარი და ჯვარის მონასტერი; ქვევით — ჯვარის მონასტერი.

ფოტო ს. ონანოვისა, (გადაღებულია ვერტმფრენიდან).

წიგნი მთარგმნელის ოსტატობაზე

ვ ამოვცეცალობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გ. გაჩეჩილაძის თეორიული ნაშრომი „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“.

ეს არის პირველი ვრცელი გამოკვლევა ქართულ ენაზე, მიძღვნილი რეალისტური თარგმანის პრობლემისადმი, სადაც საკითხი განხილულია არა მხოლოდ ისტორიულ ასპექტში, არამედ იმ სადღეისო მოთხოვნილებების, იმ ამოცანების მიხედვით, რომელსაც ჩვენს წინაშე ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილე აყენებს.

კერძოდ, დღეს ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მეეცა თავის მშობლიურ ენაზე წაიკითხოს საუკეთესო შედევრები მსოფლიო ლიტერატურისა. ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ ჩვენში, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი მთარგმნელები ხშირ შემთხვევაში აწყდებიან მრავალ წინააღმდეგობას, მრავალ რთულ საკითხს. მთარგმნელობითმა პრაქტიკამ თვითონ მოითხოვა ერთგვარი თეორიული განზოგადება, თვითონ დააყენა დღის წესრიგში ეს საკითხი.

ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ეს რთული ამოცანა პირველად თავს იდვა გ. გაჩეჩილაძეს, რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგა ხანია იცნობს, როგორც მთარგმნელს. მან მაღალი ოსტატობით გადმოაქართულა შექსპირის სონეტები, მისივე ცალკეული ტრაგედიები, ინგლისური ხალხური ბალადები რობინ ჰუდზე.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ მას მიზნად არ დაუსახავს „მხიარულების მომგვრელი რაკალრიტეზოვანი კერიოზების ძიება თარგმნის პრაქტიკაში“. ავტორი აქ მართალია, ეს არ იყო თეორიული გამოკვლევის მიზანი. ამას ჩვენი ყოველდღიური კრიტიკა უნდა აკეთებდეს, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ მკითხველს მხიარულება მოჰგვაროს, არამედ იმ მიზნით, რომ აღკვეთოს მოხალტურე მთარგმნელების ვარჯიში, რომელსაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს ჩვენში. ავტორი ესაუბრება იმ ადამიანებს, ვისთვისაც თარგმანი ნამდვილად შემოქმედებითი სფეროა, ხოლო თარგმნის პროცესი მხატვრული შემოქმედების პროცესია. ეს წიგნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის ბრძოლა მთარგმნელი-შემოქმედისათვის, დაუცხრომელი მაძიებლისათვის, რომელიც ცდილობს უცხო ქვეყნის ყვავილები ისე გადმორგას ჩვენს მიწაზე, რომ ისინი ერთ და იმავე დროს უცხონიც იყვნენ და ამავე დროს ქართულნიც.

1809 წელს ფიც-ჯერალდმა ბრწყინვალედ თარგმნა ინგლისურ ენაზე ომარ ხაიამის საქვეყნოდ სახელგანთქმული რობაები. ამბობენ, ინგლისელებმა თავიანთი აღტაცება თურმე იმით გამოხატეს, რომ როცა მთარგმნელი გარდაიცვალა, ხაიამის საფლავზე ამოსული ბალახებისა და ყვავილების თესლი წაიღეს ირანდან და ფიც-ჯერალდის საფლავზე დათესეს. პოეზიის თაყვანისმცემლებს ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ხაიამის ლექსები ინგლისს მიწაზეც ცოცხალი ყვავილებივით ხარობენო.

აი ამას ეწოდება ნამდვილი თარგმანი და ჩვენც ქართულ ენაზე ბევრი გვაქვს ასე კლასიკური სისრულით და ბრწყინვალედ შესრულებული თარგმანები. ვინ უნდა გავიხსენოთ აქ პირველ რიგში, თუ არა იეანე მაჩაბელი, რომელმაც განუმეორებელი და უბადალო ოსტატობით გადმოიღო შექსპირის ქმნილებები ქართულ ენაზე. აი მართლაც ვის საფლავს დაამშვენებდა ყვავილები შექსპირის საფლავიდან, მაგრამ ვაი რომ ჩვენ არც კი ვიცით, სად არის მაჩაბლის საფლავი!

ბუნებრივია, რომ მაჩაბლის მდიდარ გამოცდილებას და მის შესანიშნავ ტრადიციებს ვრცლად ეხება გ. გაჩეჩილაძე თავის წიგნში, მაგრამ მომდევნო პერიოდში, როგორც მკვლევარი წერს, „ქართული დეკადენტების შემოქმედებაში ფორმის პიერარიტეტისა და საერთოდ ახალი ფორმების ძიების გავლენით ეხედავთ ქართული სალიტერატურო ენის ერთგვარ დაქვეითებასა და გაღარიბებას“.

გ. გაჩეჩილაძე თანმიმდევრულად განიხილავს იმ საკითხს, თუ როგორ იმარჯვებს ჩვენს დროში რეალიზმი თარგმნითი ხელოვნების სფეროში. აქ იგი პირველ რიგში ასახელებს ერ. ტატიშვილისა და კ. ჭიჭინაძის თარგმანებს, რომლებიც „ეკვეკასიონის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა. რეალიზმის სრული ზეიმი იყო გ. ქიქოძის ბრწყინვალე თარგმანები და სავსებით მართალია გ. გაჩეჩილაძე, როცა აღნიშნავს, რომ ამ „თარგმანთა მნიშვნელობა სეცილდება თარგმანის ხელოვნების ვიწრო გაგების ფარგლებს, ისევე, როგორც ეს მოხდა ივ. მაჩაბლის შემთხვევაში. აქ ჩვენ სამე გვაქვს თანამედროვე საერთო სალიტერატურო სტილის განვითარებასთან“.

გ. გაჩეჩილაძე ცდილობს დაახასიათოს მთავარი ნიშნები იმ სტილისა, რომელიც გ. ქიქოძემ ჩამოაყალიბა თავის ორიგინალურ ნაწერებში, ესეის ყანრით დაწერილ სტატიებში და რომელიც საფუძვლად დაედო მის მთარგმნელობითს მეთოდსაც.

საერთოდ, წიგნის პირველი თავი — „მხატვრული თარგმანის ისტორიისათვის საქართველოში“ ბევრ ცნობას და მოსაზრებას შეიცავს, რომლებიც საინტერესოა არა მარტო თარგმანის, არამედ მთლიანად ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც.

ეყრდნობა რა ძირითადად აკად. ქ. ციქლიძის ნაშრომს „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“, მკვლევარი გვიჩვენებს, რა როლს ასრულებდა მხატვრული თარგმანი საუკუნეების მანძილზე ქართული ეროვნული კულტურის ისტორიაში. ეს ისტორია აქტიალური, საინტერესო და საგულისხმოა დღესაც. იმ ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით, რომელიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დგას.

წიგნის მომდევნო თავებს („რეალისტური თარგმანის პრობლემა“, „პროზაული თარგმანი“, „პოეტური თარგმანი“) გადაეყავართ შემოქმედი-მთარგმნელის ლაბორატორიაში; აქ, მრავალი პრაქტიკული მაგალითის განხილვის საფუძველზე, მკვლევარს მკითხველი ბუნებრივად მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ რეალისტური თარგმანი — ეს არის ისტორიული შედეგი თარგმნითი ხელოვნების მთელი განვითარებისა დასაბამიდან დღემდე. ისტორიულად არსებული ორი ძირითადი მეთოდის — სიტყვა-სიტყვითი და თავისუფალი თარგმნის მეთოდების წინააღმდეგობანი დიალექტიკურ გადაწყვეტას პოულობენ რეალისტური თარგმნის მეთოდში.

რეალისტური თარგმანის ცნების საკუთარი გაგება წიგნის ავტორს გამოჰყავს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის უკანასკნელ ეტაპზე გავრცელებული მხატვრული თარგმანის ცნების ძირითად განსახღვრათა ანალიზის შედეგად. ავტორი ითვალისწინებს დღემდე არსებულ განსაზღვრათა — ადეკვატური და სრულფასოვანი თარგმნის ძირითად განსაზღვრათა პოზიტურ ელემენტებს, მაგრამ მისი აზრით, არც ერთი ზემოაღნიშნული განსაზღვრა, ცალკე აღებული, არ არის ამომწურავი. ერთი წინააღმდეგობრივია, მეორე ლინგვისტიკით შეზღუდულია და თარგმნის ლიტერატურული მხარე მასში არსებითად უგულებელყოფილია; ამიტომ ავტორი, ამ განსაზღვრათა კრიტიკული ანალიზის შედეგად, ამოსავალ პოზიციად იღებს ახლებურ გაგებას, რომელიც ასახავს ლენინურ თეორიას ემყარება. ამ პოზიციის სიახლე მდგომარეობს არა განსაზღვრის ცალკეულ ელემენტებში, რომლებიც (მსგავსად მანამდე არსებული განსაზღვრებისა), წარმოადგენენ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში არსებითად მოქმედ დებულებებს, არამედ ეს სიახლე მდგომარეობს მის გნოსეოლოგიურ საფუძველში (ასახვის ლენინური თეორია) და, ბოლოს, თვით რეალისტური მეთოდის მოქმედების დამაჯერებელ ჩვენებაში ლიტერატურის ძირითადი ჟანრების სტერეოში.

დიდძალი მხატვრული მასალის ანალიზის საშუალებით წიგნის ავტორი გვიჩვენებს თარგმნის რეალისტური მეთოდის ძირითად მხარეებს. ირკვევა, რომ რეალისტური თარგმანი ასახავს ცოცხალ სინამდვილეს. ამიტომ ვღებულობთ დედნის ცოცხალ სურათს, შესრულებულს მხატვრის ხელით და არა ნატურალისტურ ფოტოასლს ან ფმპრესიონისტულ ფორიულ მსგავსებას. რეალისტურ თარგმანში ასახება დედნის არსებითი და ტიპიური თვისებები და მასში გამოხატული ადამიანთა, მოვლენათა და საგანთა ტიპიური გარემოცვა.

ასეთია ამ წიგნის დედააზრი.

ამრიგად, ავტორმა შექმნა პირველი თეორიული ნაშრომი ქართული მხატვრული თარგმანის განვითარების მიზნებისათვის, აგებული ძირითადად ქართული თარგმანის მასალაზე, მაგრამ ზოგად-თეორიული პრინციპების გათვალისწინებით.

გიორგი ნატროშვილი.

ზეგანოვოელი სტუდენტი პრაქტიკაზე

თბილისელ გოგონას ლამარა ჯიქურაძეს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხაქართველოს ბუნების სიამაყის — ნაირნაირი მცენარეულობისადმი სიყვარული, სწადდა ყოველი მცენარის ნამდვილი მესაიდუმლე გამხდარიყო და სწორედ დადგა მისი სურვილის ასრულების დროც.

ლამარამ ხუთიოდე წლის წინათ წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდეგ ქ. ივანოვოში გაემგზავრა. ლამარამ გაცხადება და საბუთები ივანოვოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე შეიტანა. მისაღები გამოცდებიც წარჩინებით ჩაბარა და აღნიშნული ფაკულტეტის პირველ კურსზე ჩაირიცხა.

ლამარამ სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვეული მუყაითობა გამოიჩინა, რის შედეგადაც კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს.

გავიდა წლები, ლამარა ივანოვოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შესანიშნავ კურსის საამაყო სტუდენტია. დადგა საგანმანათლებლო შრომის მომზადების დროც.

და სწორედ ამისათვის საჭირო იყო პრაქტიკის გავლა ისეთ ადგილას, სადაც უხვად არის სუბტროპიკული და დეკორაციული მცენარეები. არჩევანი აფხაზეთზე შეაჩერა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ლამარას სურვილი დააკმაყოფილა. და იგი პრაქტიკაზე მოავლინა სოხუმში, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო საკვლევი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალში.

ლამარამ საგანმანათლებლო შრომისათვის დასამუშავებელ თემად აიღო „მცენარეთა მთავარი მავნებლები და მათთან ბრძოლა“.

ინსტიტუტის ფილიალის მუშაკებმა პრაქტიკანტი სტუდენტი გულთბილად მიიღეს. მომავალ აგრონომს ყოველგვარი პირობები შეუქმნეს თეორიული ცოდნის პრაქტიკული ჩვევებით გაღრმავებისა და მის წინაშე დასმული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

ამჟამად ლამარა და მისი სოხუმელი მასწავლებლები სუბტროპიკულ მცენარეთა მავნებლების მიმართ ახალი ფოსფოროვან-ორგანული პრეპარატების ეფექტურობის შემოწმებაზე მუშაობენ. ამასთან ერთად ლამარა ეცნობა სუბტროპიკული კულტურების აგროტექნიკურ ღონისძიებებს, აგრეთვე პრაქტიკული ცდების შედეგებისა და ლიტერატურული მონაცემების შედარების საფუძველზე მუშაობს საფიტოფარმ შრომის გაფორმებაზე.

ლამარა დიდად კმაყოფილია პრაქტიკული საქმიანობით. სოხუმელმა მასპინძლებმა იგი საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაბეს, ფილიალის პარტიულმა ორგანიზაციამ ლამარას ექსპერიმენტული ბაზის მუშაკებს შორის საგიგაციო-მასობრივი მუშაობის ჩატარება დაავალა. პარტიულ დავალებასაც დიდი ხალისით ასრულებს.

გაიგლის კიდევ ცოტა ხანი და ლამარა ჯიქურაძე მცენარეთა ნამდვილი მესაიდუმლე გახდება...

ი. გოგბერიია.

* * *

სურათზე: ქ. ივანოვოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი ლამარა ჯიქურაძე სოხუმის ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ქვემოაკეთელეგთან

ბ ამოვცეცალობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა გ. გაჩეჩილაძის თეორიული ნაშრომი „მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები“.

ეს არის პირველი ვრცელი გამოკვლევა ქართულ ენაზე, მიძღვნილი რეალისტური თარგმანის პრობლემისადმი, სადაც საკითხი განხილულია არა მხოლოდ ისტორიულ ასპექტში, არამედ იმ სადღეისო მოთხოვნილებების, იმ ამოცანების მიხედვით, რომელსაც ჩვენს წინაშე ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის სინამდვილე აყენებს.

კერძოდ, დღეს ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მეეცა თავის მშობლიურ ენაზე წაიკითხოს საუკეთესო შედევრები მსოფლიო ლიტერატურისა. ბევრი რამ გაკეთდა ამ მხრივ ჩვენში, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენი მთარგმნელები ხშირ შემთხვევაში აწყდებიან მრავალ წინააღმდეგობას, მრავალ რთულ საკითხს. მთარგმნელობითმა პრაქტიკამ თვითონ მოითხოვა ერთგვარი თეორიული განზოგადება, თვითონ დააყენა დღის წესრიგში ეს საკითხი.

ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ეს რთული ამოცანა პირველად თავს იდვა გ. გაჩეჩილაძემ, რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგა ხანია იცნობს, როგორც მთარგმნელს. მან მაღალი ოსტატობით გადმოაქართულა შექსპირის სონეტები, მისივე ცალკეული ტრაგედიები, ინგლისური ხალხური ბალადები რობინ ჰუდზე.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ მას მიზნად არ დაუსახავს „მხიარულების მომგვრელი რალკალრიტეზოვანი კერიოზების ძიება თარგმნის პრაქტიკაში“. ავტორი აქ მართალია, ეს არ იყო თეორიული გამოკვლევის მიზანი. ამას ჩვენი ყოველდღიური კრიტიკა უნდა აკეთებდეს, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ მკითხველს მხიარულება მოჰგვაროს, არამედ იმ მიზნით, რომ აღკვეთოს მოხალტურე მთარგმნელების ვარჯიში, რომელსაც სამწუხაროდ ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს ჩვენში. ავტორი ესაუბრება იმ ადამიანებს, ვისთვისაც თარგმანი ნამდვილად შემოქმედებითი სფეროა, ხოლო თარგმნის პროცესი მხატვრული შემოქმედების პროცესია. ეს წიგნი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის ბრძოლა მთარგმნელი-შემოქმედისათვის, დაუცხრომელი მაძიებლისათვის, რომელიც ცდილობს უცხო ქვეყნის ყვავილები ისე გადმორგას ჩვენს მიწაზე, რომ ისინი ერთ და იმავე დროს უცხონიც იყვნენ და ამავე დროს ქართულნიც.

გ. გაჩეჩილაძე ცდილობს დაახასიათოს მთავარი ნიშნები იმ სტილისა, რომელიც გ. ქიქოძემ ჩამოაყალიბა თავის ორიგინალურ ნაწერებში, ესეის ყანრით დაწერილ სტატიებში და რომელიც საფუძვლად დაედო მის მთარგმნელობითს მეთოდსაც.

საერთოდ, წიგნის პირველი თავი — „მხატვრული თარგმანის ისტორიისათვის საქართველოში“ ბევრ ცნობას და მოსაზრებას შეიცავს, რომლებიც საინტერესოა არა მარტო თარგმანის, არამედ მთლიანად ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც.

ეყრდნობა რა ძირითადად აკად. ქ. ციქლიძის ნაშრომს „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“, მკვლევარი გვიჩვენებს, რა როლს ასრულებდა მხატვრული თარგმანი საუკუნეების მანძილზე ქართული ეროვნული კულტურის ისტორიაში. ეს ისტორია აქტიალური, საინტერესო და საგულისხმოა დღესაც. იმ ამოცანების გადაჭრის თვალსაზრისით, რომელიც ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დგას.

წიგნის მომდევნო თავებს („რეალისტური თარგმანის პრობლემა“, „პროზაული თარგმანი“, „პოეტური თარგმანი“) გადაყავართ შემოქმედი-მთარგმნელის ლაბორატორიაში; აქ, მრავალი პრაქტიკული მაგალითის განხილვის საფუძველზე, მკვლევარს მკითხველი ბუნებრივად მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ რეალისტური თარგმანი — ეს არის ისტორიული შედეგი თარგმნითი ხელოვნების მთელი განვითარებისა დასაბამიდან დღემდე. ისტორიულად არსებული ორი ძირითადი მეთოდის — სიტყვა-სიტყვითი და თავისუფალი თარგმნის მეთოდების წინააღმდეგობანი დიალექტიკურ გადაწყვეტას პოულობენ რეალისტური თარგმნის მეთოდში.

რეალისტური თარგმანის ცნების საკუთარი გაგება წიგნის ავტორს გამოჰყავს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის უკანასკნელ ეტაპზე გავრცელებული მხატვრული თარგმანის ცნების ძირითად განსახღვრათა ანალიზის შედეგად. ავტორი ითვალისწინებს დღემდე არსებულ განსაზღვრათა — ადეკვატური და სრულფასოვანი თარგმნის ძირითად განსაზღვრათა პოზიტურ ელემენტებს, მაგრამ მისი აზრით, არც ერთი ზემოაღნიშნული განსაზღვრა, ცალკე აღებული, არ არის ამომწურავი. ერთი წინააღმდეგობრივია, მეორე ლინგვისტიკით შეზღუდულია და თარგმნის ლიტერატურული მხარე მასში არსებითად უგულებელყოფილია; ამიტომ ავტორი, ამ განსაზღვრათა კრიტიკული ანალიზის შედეგად, ამოსავალ პოზიციად იღებს ახლებურ გაგებას, რომელიც ასახავს ლენინურ თეორიას ემყარება. ამ პოზიციის სიახლე მდგომარეობს არა განსაზღვრის ცალკეულ ელემენტებში, რომლებიც (მსგავსად მანამდე არსებული

ბ ცხეთა! თვითეული ჩვენგანის გულს ათბობს საქართველოს ამ უძველესი დედაქალაქის ხსენება. გვიყვარს ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორია, მისი დიდი წარსული. ხალხი მუდამ გულითადი პატივისცემით, მოკრძალებით ინახავს იმათ ხსოვნას, ვინც დიდებით შემოსა მამული.

საქართველოს ძველი დედაქალაქი მემატიანედ დგას ყველაფერში ჩაფლული დღევანდელი მცხეთა. ზაპესის წინ შეტბორილა მრავალ დრო-ჟამის მოწმე მტკვარი. ნაპირებთან ამაღლებულა ჩვენი სამშობლოს დედამფინარე. წყალს დაუფარავს პომპეოსის უძველესი ხიდი და ტურბინებთან მიბრალა ელექტრობის გასაჩენად. ილიჩის შუქი შემკაშკაშებს ჯვრის მონასტერს. მთიდან გადმოსცქერიან მეხუთე საუკუნის უდიდესი ძეგლი ჩვენი რესპუბლიკის პირველ კიდროელსადგურს — ზაპესს.

აქვე, მცხეთაში, საქართველოს საამაყოდ დგას ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი — სვეტიცხოველი. ლეგენდად ქცეულა დიდებული ტაძრის აგების ამბავი. სახელგანთქმული ხუროთმოძღვრის არსაკიძის ამ ბრწყინვალე ქმნილებას მზრუნველობით უვლის საბჭოთა საქართველო.

საიდან არ მოდიან ამ მშვენიერი ძეგლების სანახავად. და ეს არც არის საკვირველი. ჯვარი და სვეტიცხოველი ძველი ქართული კულტურის სწორუპოვარი საუნჯეა. ამიტომ გვიყვარს, ვუვლით და ვიცავთ დიდებით მოსილ ძეგლებს.

* * *

სურათებზე: ზეკით — მცხეთის ხედი, სვეტიცხოველის ტაძარი და ჯვარის მონასტერი; ქვევით — ჯვარის მონასტერი.

ფოტო ს. ონანოვისა, (გადაღებულია ვერტმფრენიდან).

დავისვენოთ ბუნების წიაღში

მასობრივი ტურიზმი ჩვენში სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს. ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობას იღებენ ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეები, სტუდენტები და სხვ.

თბილისის ტურისტულ ბაზას შემოშავებული აქვს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს თბილისის ახლო-მახლო ადგილების დათვალიერებას მარშრუტებით — თბილისი — საგურამო, — ზაპეხული — ჯვარი — ზაპეხი, თბილისი — მცხეთა — არმაზი — ბაგინეთი, თბილისი — ძეგვი შიო მღვიმე — წყალტუბა — მცხეთა და სხვ. ეს არის ავტომანქანებით მოგზაურობა. არის ფეხით მოსიარულეთა საინტერესო მარშრუტი — თბილისი — ოქროყანა — უძო — კუსტა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

(გაგრძელება)

მთელი რიგი სახალხო მეურნეობის საბჭოების საწარმოები ვერ ასრულებენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის ახალი ტექნიკის წარმოების ათვისებისა და მიწოდების დავალებებს.

სახალხო მეურნეობის საბჭოების ორგანიზაციის შემდეგ და განსაკუთრებით სკკპ XXI ყრილობის შემდეგ ეკონომიურ რაიონებში განხორციელდა მნიშვნელოვანი მუშაობა სპეციალიზაციისა და კოოპერირების დარგში. მთელ რიგ სახალხო მეურნეობის საბჭოებში შექმნილია ლითონის ნაკეთობათა, სხმულის, ნაჭედისა და სტანდარტული ინსტრუმენტის სპეციალიზებული წარმოება, რამაც შესაძლებელი გახადა გადიდებულიყო მათი გამოშვება და შემცირებულიყო თვითღირებულება. აღნიშნავს რა ამ ღონისძიებათა დადებით მნიშვნელობას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ამასთან მიაჩნია, რომ ეკონომიური რაიონის შიგნით წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება მთლიანად ვერ წყვეტს ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. მეურნეობის სოციალისტური სისტემა გულისხმობს და შესაძლებელს ხდის წარმოების განვითარებას საზოგადოებრივი შრომის ფართო განაწილების, რაციონალური სპეციალიზაციისა და კოოპერირების ბაზაზე.

წარმოების ახლანდელი მოცულობის დროს სსრ კავშირში ეკონომიურად დასაბუთებული სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელება სასაცოცხლოდ გადაუდებელი საქმეა; მისი თანმიმდევრულად განხორციელება საშუალებას მოგვცემს ავამოქმედოთ ჩვენი ეკონომიკის უდიდესი რეზერვები. ამავე დროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიები და ზოგიერთი სახალხო მეურნეობის საბჭო აყოვნებენ ამ საქმეს, არ შეუმუშავებიათ მრეწველობის წამყვანი დარგების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პერსპექტიული გეგმები.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას. ამავე დროს მრეწველობისა და ტრანსპორტის ბევრ საწარმოში ეს საკითხები ჯერ კიდევ არ დგას სამეურნეო ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ამის შედეგად ასეთ საწარმოებში ცუდად იყენებენ საწარმოო სიმძლავრეებსა და მოწყობილობას, ურიგდებიან მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების არარაციონალურად განაწილებას, დამხმარე და მომსახურე პერსონალის ზედმეტ, წარმოების ხაჭიროებით გაუმართლებელ რაოდენობას, დიდ მოცდენებს, პროდუქციის არარიტმულ გამოშვებას. ზოგიერთ რკინიგზაზე არ სრულდება ლოკომოტივების გამოყენების გაუმჯობესების დავალებანი, ნელა იზრდება მატარებელთა მოძრაობის სიჩქარე. ვაგონების, გემებისა და ავტომობილების მოცდენა ბევრ სადგურში, ნავსადგურებში და საწარმოთა მისასვლელ ლიანდაგებზე მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილ ნორმებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი, მრეწველობის დარგების სახელმწიფო კომიტეტები და ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოები ურიგდებიან ნელ ტემპს. ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1959 წლის) პლენუმის იმ მითითებათა შესრულებაში, რომლებიც ეხება წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პერსპექტიული გეგმების შედგენას, ამისათვის საჭირო მანქანების, მექანიზმებისა და ხელსაწყოების გამოშვების გადიდებას, მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის კვანძებისა და აგრეგატების ცენტრალიზებული წარმოების ორგანიზაციას და სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება.

1. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მიმდინარე შვიდწლედის ძირეული პრობლემის გადაჭრა — კაპიტალიზმთან სოციალიზმის მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალურად მოგება — შეიძლება მხოლოდ ტექნიკური პროგრესის ტემპების ყოველი ღონისძიებით გაძლიერებისა და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის უნდა ავამოქმედოთ მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენს ეკონომიკას აქვს. ისინი გამოიხატებიან უწინარეს ყოვლისა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის დაჩქარებით, ჩვენი ქვეყნის შემდგომი ელექტროფიკაციით, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების განხორციელებით, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის რაციონალური მეთოდების ყველგან გამოყენებით. ახალ საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობისა და დროზე ამუშავების ვადების შემოკლებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამშენებლო წარმოების ინდუსტრიული ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას. ამ შესაძლებლობათა გამოვლინება და გამოყენება პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ცენტრალური ამოცანა უნდა გახდეს.**

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდებას, როგორც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების გადამწყვეტ წყაროს და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველს.

მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში ორგანულად შეხამებულია თვითეული მშრომელის დაინტერესება თავისი შრომის შედეგით მთელი საზოგადოების ინტერესებთან. დიდი ლენინის მითითებათა მიხედვით, კომუნისტური პარტია სამეურნეო მშენებლობის ყველა ეტაპზე განუხრელად ახორციელებდა სოციალიზმის მშენებლობაში მასების ენთუზიაზმსა და ინიციატივას. მატერიალური დაინტერესების პრინციპის ყოველი ღონისძიებით გამოყენებასთან საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების გაძლიერებისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. კომუნიზმის მშენებლობის დიადმა ამოცანებმა გამოიწვია სოციალისტური შეჯიბრებისა და მშრომელთა აქტივობის ახალი მძლავრი აღმავლობა, წარმოშვა კომუნისტური შრომის დამკვრელებისა და ბრიგადების შესანიშნავი მოძრაობა. ამ ამოცანების შესაბამისად უკანასკნელ წლებში განხორციელდა ღონისძიებანი წარმოების მოცულობის გადიდებით, მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებით, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური სრულყოფით მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მატერიალური დაინტერესების შედგომი გაძლიერებისათვის. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციას კვლავაც იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში ამ უმნიშვნელოვანესი ლენინური დებულებით.

2. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის დასაჩქარებლად, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის უფრო სრულყოფილი მანქანების, მოწყობილობისა და ხელსაწყოების შესაქმნელად და გამოშვების ასათვისებლად, მოძველებული პროდუქციის ახალი, თანამედროვე პირობების შესაბამისი პროდუქციით მალე შესაცვლელად.**

საწარმოთა კოლექტივების, სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების სპეციალისტების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს უწინარეს ყოვლისა ისეთ ტექნიკურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა საშუალებას მოგვცემს მივიღოთ დიდი ეკონომიური ეფექტი და მოვიგოთ დრო; მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაციის დაჩქარებას; ახალი სამრეწველო მასალების, განსაკუთრებით სინთეზური მასალების შექმნას და მათ ფართოდ გამოყენებას წარმოების სხვადასხვა დარგში; რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის განვითარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელი მასების აქტიურ მონაწილეობას წარმოების ტექნიკურ სრულყოფაში.

უნდა დაჩქარდეს მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციისა და საწარმოთა რეკონსტრუქციის ტემპები, რათა მოკლე ვადაში და ნაკლები კაპიტალდაბანდებებით გადიდდეს შრომის ნაყოფიერება და გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება.

რჩევა მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ყველგან გაავრცელონ ნოვო-კრამატორსკის ქარხნის გამოცდილება, რომლის კოლექტივმა საკუთარი ძალებით შეიმუშავა ტექნიკური დოკუმენტაცია და მოაწყო მის მიერ ადრე გამოშვებული მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ მანქანათმშენებლო ქარხნებისათვის საჭირო დეტალებისა და კვანძების წარმოება, რომლებიც ფართოდ იყენებენ ნორმალიზებულ კვანძებსა და აგრეგატებს ახალი ჩარხებისა და ავტომატური ხაზების შექმნის დროს, ომსკის რკინიგზის გამოცდილება, სადაც შემუშავდა და დაინერგა დაგრძელებულ წევის უბნებზე ლოკომოტივების ექსპლოატაციის ახალი მეთოდი, აგრეთვე სხვა მოწინავე საწარმოთა გამოცდილება, რომლებიც იჩენენ ძვირფას თაოსნობას წარმოების ტექნიკური სრულყოფისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი წინადადებას აძლევს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ ბრძოლა ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის წინააღმდეგ. ნაკლოვანებებისადმი, ტექნიკური პროგრესის ამოცანების გადაჭრისადმი გულგრილი დამოკიდებულების წინააღმდეგ.

3. **მოწონებულ იქნას ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, დნეპროპეტროვსკისა და მთელი რიგი სხვა ოლქების საწარმოთა კოლექტივების, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების ინიციატივა ახალი შინაგანი რეზერვების გამონახვისა და გამოყენების დარგში, რამაც შესაძლებლობა მისცა ამ ოლქების მშრომელებს ეკისრათ გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი უფრო სრულყოფილი ტიპების მანქანების, აპარატებისა და ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა წარმოების ათვისებისა და გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის შვიდწლიანი გეგმით დაწესებული უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების დონის გაციცლებით უფრო ადრე მიღწევისათვის, ვიდრე გათვალისწინებული იყო წინანდელი ვალდებულებებით.**

4. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მუშაკის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გადიდდეს სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაობის ეფექტიანობა, შემცირდეს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისა და წარმოებაში მათი დანერგვის ვადები.**

სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭომ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა და სამინისტროებმა გააუმჯობესონ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ხელმძღვანელობა, გაძლიერონ მათი საქმიანობის კოორდინაცია, აღმოფხვრან არასაჭირო პარალელიზმი და ვიწროუწყებრივი მიდგომა საქმისადმი, არ დაუშვან ნაკლებად აქტუალური თემების შეტანა გეგმებში, განამტკიცონ საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო ბაზა, მოაწესრიგონ ტექნიკური ინფორმაციის საქმე. მიიღონ ღონისძიებანი, რათა სავსებით გაათავისუფლონ საცდელი დანადგარები, საამქროები და საწარმოები სერიული პროდუქციის წარმოებისაგან.

რჩევა მიეცეს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს ფართოდ დანერგონ მეცნიერთა, ინჟინერ-ტექნოლოგთა, დამპროექტებელთა, კონსტრუქტორთა და ქარხნების მუშაკთა ერთობლივი შემოქმედებითი მონაწილეობა პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების და ახალი ტექნიკის შექმნაში მათი დამუშავების ყველა სტადიაზე — ლაბორატორიული კვლევით დაწყებული წარმოებაში დანერგვამდე, გააძლიერონ კავშირი წარმოებასთან, ყოველდღიურად იმუშაონ თავიანთი მიღწევების დანერგვისათვის მრეწველობაში და ტრანსპორტზე.

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებთან, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ და ექვსი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი უმნიშვნელოვანესი კვლევითი, საცდელი და საპროექტო სამუშაოების დაგეგმვის, კოორდინაციისა და მათი შესრულებისადმი კონტროლის გაუმჯობესების შესახებ.

5. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ხაზს უსვამს, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მიხედვით შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა წარმატებითი მუშაობა. მრეწველობა და ტრანსპორტი რომ ვითარდებოდეს კვლავაც უფრო ძლიერი ტემპებით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით, საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ პირველ რიგში საკონტროლო ციფრების გასწრებით სრულდებოდეს შავი და ფერადი ლითონების, ენერგიის, ნავთობპროდუქტების წარმოების, მადნის, ქვანახშირის, განსაკუთრებით კოქსადი ქვანახშირის, და გაზის მოპოვების დავალებანი.**

ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარებისათვის და ახალი საწარმოო სიმძლავრეების დროზე ამოქმედებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მანქანათმშენებლობის უფრო სწრაფ განვითარებას, მანქანების, აპარატების, მოწყობილობის, ხელსაწყოების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების და სხვა მოწყობილობის წარმოების გაფართოებასა და ტექნიკური დონის ამაღლებას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს პარტიულ, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს ყოველდღიური კონტროლი დაუწესონ მძიმე ინდუსტრიის საწარმოებსა და მანქანათსამშენებლო ქარხნებში სიმძლავრეთა ამოქმედებისადმი. მეტი ღონისძიებები იხმარონ შინაგანი რეზერვების გამონახვისა და გამოყენებისათვის, რათა გადიდდეს მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის პროდუქციის გამოშვება.

6. **აღნიშნავს რა, რომ რამდენადმე ჩამორჩება ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეებისა და ქიმიური პროდუქციის საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და ელექტროსადგურთა მშენებლობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს გააძლიერონ ყურადღება ელექტროსადგურებისა და ქიმიური ქარხნების მშენებლობისადმი, თანამედროვე ტურბინების, ელექტრომანქანების ქვაბების და სხვა სახეობათა ქიმიური მოწყობილობის შექმნისადმი და წარმოების მალე მოწყობისადმი. საჭიროა მუდამ გახელმძღვანელობდეთ იმით, რომ ენერგეტიკული მშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარების დარგში შვიდწლიანი გეგმის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება განამტკიცებს ტექნიკური პროგრესის ბაზას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.**

7. **რადგან ახალ საწარმოთა მშენებლობაზე ტიპური ტექნოლოგიური პროცესებისა და ტიპური პროექტების გამოყენება საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვნად შევამციროთ ვადები და გავაიაფოთ მშენებლობა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობისა და მშენებლობის დარგების სახელმწიფო კომიტეტებს შეიმუშაონ ტიპური პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები და სქემები ძირითად სახეობათა წარმოებისათვის მაღალი წარმადობის მოწყობილობის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა საფუძველზე. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოთა დაპროექტებისა და რეკონსტრუქციის დროს მაქსიმალურად გამოყენებულ. უნდა იქნას ტექნოლოგიური მოწყობილობის ტიპური სქემები და კომპლექტები.**

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა სახალხო-სამეურნეო გეგმებში გაითვალისწინონ მოწყობილობის საჭირო კომპლექტების დამზადება ტიპური პროცესების განსახორციელებლად იმ საწარმოებში, რომლებიც შენდება; განახორციელონ ღონისძიებანი საცდელ-საჩვენებელი, კომპლექსურ-ავტომატიზებული საწარმოების, აგრეთვე უახლესი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე დაპროექტებულ სხვა საწარმოთა მშენებლობის დასაჩქარებლად იმ მიზნით, რომ მოკლე ვადებში გავრცელდეს მათი მუშაობის გამოცდილება მრეწველობაში და ტრანსპორტზე. გააძლიერონ ყურადღება იმისადმი, რომ შეიქმნას და მალე იქნას ათვისებული ახალი მანქანების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების კომპლექსური მექანიზაციის სხვა საშუალებათა წარმოება.

8. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად მიაჩნია რკინიგზის ტრანსპორტის ძირეული ტექნიკური რეკონსტრუქციის დაჩქარება, საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის შემდგომი გაუმჯობესება და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, მილსადენი ტრანსპორტის სწრაფი განვითარება.**

აღნიშნულ მუშაობაში ძირითადი მიმართულებები უნდა იყოს: რკინიგზის ტრანსპორტზე — ელექტროფიკაციისა და სათბომავლო წევის დანერგვის ტემპების გაძლიერება, იმის უზრუნველყოფა, რომ რკინიგზების მთელი მეურნეობის ტექნიკური დონე შეესაბამებოდეს ახალი ლოკომოტივების საექსპლოატაციო შესაძლებლობებს, რისთვისაც უნდა მოხდეს მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია, ფართოდ გამოყენებულ იქნას მატარებელთა მიმოსვლის მართვაში ავტომატიზაცია, განვითარდეს კვანძები და სადგურები, დაჩქარდეს რკინიგზის ლიანდაგის რეკონსტრუქცია; წყლის ტრანსპორტზე — გემების მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირება, წყალქვეშაფრთებიანი თბომავლების დანერგვა, ნავსადგურების გამტარუნარიანობის გაფართოება და ნავიგაციის ვადების გახანგრძლივება; საავტომობილო ტრანსპორტზე — წვრილ საავტომობილო მეურნეობათა ლიკვიდაციის დამთავრება და მანქანების პარკის თავმოყრა სამეურნეო ანგარიშზე მყოფ მსხვილ ავტობაზებში, საგზაო მშენებლობის გაძლიერება. მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაცია.

წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და შესაბამის სახალხო მეურნეობის საბჭოებს უზრუნველყონ, რომ უთუოდ შესრულდეს ახალ სახეობათა ლოკომოტივების, მოძრავი შემადგენლობის, საზღვაო და სამდინარო გემების, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების, ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის საჭირო მოწყობილობისა და მასალების, აგრეთვე მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობისათვის სპეციალიზებული ავტომობილებისა და მისაბმელების მიწოდების გეგმები.

ტრანსპორტის მუშაკებმა ყველაზე სრულად და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ ახალი ტექნიკა, გააუმჯობესონ საექსპლოატაციო მუშაობის ფორმები და მეთოდები, გაადიდონ მატარებლების, გემებისა და ავტომობილების მიმოსვლის სიჩქარე და აამაღლონ მისი უსაშიშრობა, გაუმჯობესონ მგზავრთა მომსახურების კულტურა, უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო მაღალი ტემპები და ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირება.

რადგან დიდი ეკონომიური ეფექტი აქვს დაგრძელებული წევის უბნებზე ელმავალთა და თბომავალთა მუშაობას, რომლებსაც ლოკომოტივთა ბრიგადების ცვლები ჰყავთ, დაეკალოს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაონ და დაამტკიცონ დაგრძელებული წევის უბნებისა და სალოკომოტივო დეპოების განლაგების სქემა რკინიგზების მთელი ქსელისათვის. ამასთან დაკავშირებით გადაიჭრას მთელ რიგ სალოკომოტივო დეპოებში ახალ წარმოებათა ორგანიზაციის საკითხები.

რადგან რკინიგზის ზოგიერთი მაგისტრალის ტვირთდაძაბულობა გაიზარდა, საჭიროდ ჩაითვალოს არსებული ქსელის ტექნიკურ რეკონსტრუქციასთან ერთად რკინიგზის ახალი ხაზების მშენებლობის დაჩქარება. დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, გზათა სამინისტროს და სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ახალი პერსპექტიული გეგმის შემუშავების დროს გაითვალისწინონ რკინიგზის ტრანსპორტის წინმსწრები განვითარება ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებში.

დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს რადიორელეური ხაზებისა და კაბელის მაგისტრალების მშენებლობა და დაჩქარდეს მუშაობა ქალაქებისა და სოფლების ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციისათვის.

9. **რადგან სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის საჭიროა უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების შემდგომი გაფართოება, ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ გაუმჯობესდეს ახალი ტექნიკის დარგებისათვის და უწინარეს ყოვლისა წარმოების მექანიზაციის, ავტომატიზაციის და ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალისტების მომზადების ხარისხი და გადიდდეს მათი გამოშვება.**

ტექნიკური პროგრესის დაჩქარების აუცილებელი პირობაა კვალიფიციური მუშათა კადრების პროფესიული მომზადების გაუმჯობესება, მშრომელთა საწარმოო კვალიფიკაციისა და ზოგადი განათლების დონის შემდგომი ამაღლება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოებს. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს გაუმჯობესონ მუშათა კადრების პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ხელმძღვანელობა, გააფართოონ საწარმოებში, ტრანსპორტზე და სამშენებლო ორგანიზაციებში საღამოს (ცვლების) პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი, რომლებშიც მუშებს შეეძლებათ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მიიღონ პროფესიულ-ტექნიკური განათლება.

10. **სახალხო მეურნეობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარების დროს დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ეკონომიური რაიონების ცენტრში, ურალში, შუა ვოლგაზე, ციმბირში და ქვეყნის სხვა დიდ ეკონომიურ-გეოგრაფიულ რაიონებში [illegible] თამაშორისო გამოყენ[illegible] დეტალების, სხმულის, ნაჭედის, ნორმალიზებული კვანძების, აგრეგატებისა და აღჭურვილობის, შედუღებული კონსტრუქციების ლითონის ნაკეთობების, ინსტრუმენტების სათადარიგო ნაწილების სპეციალიზებული წარმოებანი მომიჯნავე ეკონომიური რაიონების საჭიროებისათვის.**

წინადადება მიეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტთა, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტს შეიმუშაონ ღონისძიებანი მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მექანიზმების რაციონალური განზომილებების მწკრივთა დანერგვისათვის მანქანათმშენებლობის ყველა დარგში, მანქანათმშენებლობის პროდუქციის სტანდარტიზაციის, უნიფიკაციისა და ტიპიზაციისათვის და წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ საკითხებზე.

დაეკალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს წლის განმავლობაში შეიმუშაონ მიმდინარე შვიდწლედში მრეწველობის ძირითადი დარგების სპეციალიზაციისა და კოოპერირების განვითარების გეგმა.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა გააძლიერონ კონტროლი სამეურნეო ორგანიზაციების საჭმიანობისადმი წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების დარგში, დროზე გამოავლინონ და გადაჭრით აღკვეთონ ცალკეული ხელმძღვანელების მავნე მისწრაფებანი ეკონომიური კარჩაკეტილობისადმი.

11. **წინადადება მიეცეთ სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომსაბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს მიიღონ ღონისძიებანი მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმძლავრეთა დაჩქარებული ზრდისათვის, უზრუნველყონ ცემენტის, რკინაბეტონის კონსტრუქციების, სანიტარულ-ტექნიკური ნაკეთობათა, მოსამარკვეთებელ და სხვა საშენ მასალათა ახალი საწარმოების სწრაფად გადაცემა საექსპლოატაციოდ და მოქმედ საწარმოთა გაფართოება. ამასთან მხედველობაში იქონიონ მათზე მშენებლობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება, გაადიდონ სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამოშვება.**

პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ კონტროლი მშენებლობის ინდუსტრიულ ბაზის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამრეწველო და საბინაო მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების სიმძლავრეთა შექმნას.

12. **იმის გამო, რომ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს პროგრესული შედუღებული კონსტრუქციების მასობრივ დანერგვას მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე, წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს გაუჯობესონ მუშაობა მოქლონილი, არაეკონომიური სხმული, ნაჭედი და სხვა კონსტრუქციების შესაცვლელად შედუღებული კონსტრუქციებით. დაარქმიონ სპეციალიზებული საწარმოთა და საამქროთა შექმნა შედუღებული კონსტრუქციების, მანქანებისა და მექანიზმების დეტალების, გაცვეთისმედეგი დადუღების ცენტრალიზებული დამზადებისათვის, გააფართოონ შესადუღებელი მოწყობილობის, ელექტროდებისა და სხვა შესადუღებელი მასალების წარმოება.**

მრეწველობაში, მშენებლობაში და ტრანსპორტზე შედუღების ტექნიკის ფართოდ გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული გაფართოვდეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების მთავარი ინსტიტუტის უფლებანი საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევ და საკონსტრუქტორო დაწესებულებათა მუშაობის საკოორდინაციოდ შედუღების დარგში, შედუღების ახალი მეთოდებისა და ეკონომიური შედუღებული კონსტრუქციების დანერგვის ორგანიზაციის დარგში, დაეკისროს მას კონტროლი ყველა ღონისძიების განხორციელებისადმი ტექნიკის ამ დარგში.

რეკომენდებულ იქნას მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში და მშენებლობებზე ინჟინერ-კონსტრუქტორთა, ტექნოლოგთა და წარმოების მოწინავეთა კომისიების შექმნა შედუღების მოწინავე ტექნიკის დანერგვისათვის ხელშესაწყობად.

13. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს მოწინავე კოლექტივების მუშაობის გამოცდილების ყოველმხრივი შეფასებისა და გავრცელების სა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის სიტყვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1960 წლის 15 ივლისს

ამხანაგებო! პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავისი შემოქმედებითი შრომით ახორციელებს შვიდწლიანი გეგმის გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც დასახა პარტიის XXI ყრილობამ.

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს საქმიანობას კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად შთაგონებს და წარმართავს საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტია. ჩვენი პარტია მონოლითური, ერთიანი, უძაგლეთოდ დაარაზმული თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მიზანსწრაფულად ყველის ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების ძირეულების ამოცანებს. მსოფლიონი არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომ შეეძლოს შეაფერხოს ძლეავმოსილი წინსვლა საბჭოთა ხალხისა, რომელიც დიადი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიდის კომუნიზმისაკენ.

მრეწველობის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის საკითხთა განხილვას ამ პლენუმზე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის. ეს ახალი უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე, დაწვრილებით ჩამოაყალიბა ნ. ს. ხრუშჩოვმა კომუნისტური პარტიის ბრიგადის მოწინავეთა და დამკვრელთა სრულიად საკავშირო თათბირზე კრემლში და თავის მთელ რიგ სხვა გამოსვლებში.

პლენუმის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გერასიმოვის, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. სენინის, ლატვიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გაილეს, კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლობაკოს, კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გრაფოვის, ყარაგანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბრატჩენკოს, მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კოსტოუსოვისა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტროშედუღების ინსტიტუტის დირექტორის ამხ. პატონის შინაარსიანი მოხსენებანი.

ამ მოხსენებებსა და პარტიული და საეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მეცნიერთა და წარმოების ნოვატორთა გამოსვლებში თვალსაჩინოდ ნაჩვენები დიდი წარმატებანი, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია სახალხო მეურნეობის განვითარებაში. ამ წარმატებებში ასახულია საბჭოთა ხალხისა და ჩვენი პარტიის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალა.

კონკრეტული მაგალითებით ნაჩვენებია, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწიეს პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, წარმოების ნოვატორებმა იმ გრანდიოზული ამოცანების განხორციელებში, რომლებიც პარტიის XXI ყრილობამ დასახა. ფართოდ განვითარდა შეჯიბრება კომუნისტური შრომის დამკვრელის, ბრიგადის, კოლექტივის ნოდებისათვის.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა თქვა, რომ ახლა მარქსიზმ-ლენინიზმი მარტო თეორია როდია. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები უკვე პრაქტიკულად წარმატებით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, ხორციელდება ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში.

ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი წყვეტენ ისეთ ამოცანებს, რომლებზეც კაცობრიობას წინათ მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. შვიდ წელიწადში ჩვენ ახლა ეწყვეტით ისეთ ამოცანებს, რომელთა განხორციელებასაც წინათ მრავალი ათეული წელი დასჭირდებოდა.

ეს თვალსაჩინოდ შეიძლება ცხადყოთ შემდეგი მაგალითებით.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღწერის მონაცემებით, საბჭოთა ფოლადი და კოოპერაციული ორგანიზაციების მთელი ძირითადი ფონდები 1960 წლის 1 იანვრისათვის თანამედროვე ფასებში შეადგენენ ორ ტრილიონ ოთხას მილიარდ მანეთზე მეტს. ყოველივე ეს დაგროვდა ჩვენს ქვეყანაში რუსეთის არსებობის დროს წარსულში და საბჭოთა ხელისუფლების 42 წლის განმავლობაში.

ამჟამად ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა მარტო 1960-დან 1965 წლამდე გაორკეცოთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდები. ეს იმას ნიშნავს, რომ შვიდწლედში ჩვენ იმდენსავე შევქმნით, რამდენიც შექმნილა ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე. **(ხანგრძლივი ტაში).**

კაპიტალისტურ სამყაროში ასეთ ამოცანას ვერც ერთი ქვეყანა ვერ დაისახავს.

თუ ახლა საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ძლიერი ქვეყანაა, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი იქნება მისი ძალა და სიმძლავრე როცა შვიდწლედის დამლევისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთიორად გადიდდება.

მეორე მაგალითი. სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი შვიდწლედის დამლევისათვის 62-65 პროცენტით იზრდება 1958 წელთან შედარებით და, ამრიგად, თითქმის 6-ჯერ გადააჭარბებს ომამდელი 1940 წლის დონეს. ეროვნული შემოსავლის ზრდის ასეთი ძლიერი ტემპები მიუწვდომელია ყოველი კაპიტალისტური ქვეყნისათვის.

ეროვნული შემოსავლის ზრდა გაადიდებს მშრომელთა შემოსავალს და უზრუნველყოფს სახალხო მოხმარების შემდგომ გადიდებას. ეს ყველაზე ნათლად გამოხატავს ჩვენი სახელმწიფოს ზრუნვას ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

პარტიამ დასახა ამოცანა სისტემატურად, ავამაღლოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე. ეს ამოცანა წარმატებით წყდება: მაღლდება ხელფასის დონე, მცირდება ფასები, იზრდება მოსახლეობის უზრუნველყოფა ბინებით, და შორს აღარ არის ის დღე, როცა საცხოვრებელი ბინების ეს საუკეთესობრივი პრობლემა მთლიანად გადაიჭრება ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, 1960 წელს ჩვენს ქვეყანაში მთავრდება მუშებისა და მოსამსახურეების გადაყვანა ექვსი და შვიდი საათის სამუშაო დღეზე. ამასთან მათი ხელფასი არათუ არ მცირდება, არამედ შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე განუხრელად გაიზრდება. ჩვენ მსოფლიოში პირველად უკვე წელს შეეუდგებით მუშათა და მოსამსახურეთა გადასახადების გაუქმებას.

შეიძლება მოვიყვანოთ კიდევ ასეთი მაგალითი. როცა ომი დამთავრდა, რა მორეული პერსპექტივა იყო ჩვენთვის შესაძლებლობა დაეწიეოდთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგალითად, ფოლადის წარმოების მხრივ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა. 1960 წელს ჩვენ გამოვადნობთ 65 მილიონ ტონა ფოლადს, 1961 წელს — 71 მილიონ ტონას, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებმა 1959 წელს გამოადნეს 85 მილიონამდე ტონა ფოლადი.

თქვენ ხედავთ, რომ ახლა ეს უკვე აღარ არის მორეული პერსპექტივა, და ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ უახლოეს დროში გადავწყვეტთ ამ ამოცანას და გავუსწრებთ ამერიკის შეერთებულ შტატებს. **(ტაში).**

შვიდწლედის პირველი წლის გეგმის შესრულების შედეგები და ამ დღეებში გამოქვეყნებული, მონაცემები შვიდწლედის მეორე წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შესახებ გვიჩვენებენ, რომ შვიდწლიანი გეგმით დასახული დავალებები არათუ მთლიანად, არამედ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით საგრძნობი გადაჭარბებითაც სრულდება.

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მატებამ 1959 წელს 11 პროცენტს გადააჭარბა გეგმით გათვალისწინებული 7,7 პროცენტის ნაცვლად და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 10 პროცენტს აღემატებოდა წლიური გეგმით დასახული 8,1 პროცენტის ნაცვლად.

შვიდწლედის დაწყებიდან წარმოებულია მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო საკონტროლო ციფრების გაანგარიშებებით: ფოლადი — 3,4 მილიონი ტონა, ნაგლინი — 2,6 მილიონი ტონა, ელექტროენერგია — 5 მილიარდი კილოვატ-საათი, ამოღებულია მეტი: ნავთობი — 3 მილიონი ტონა, რკინის მადანი — 4 მილიონი ტონა, მნიშვნელოვნად მეტია წარმოებული მანქანები, ქიმიური და სხვა პროდუქცია.

დიდი მასშტაბებით წარმოებს სპორტული მშენებლობა. საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა ათას მცხოვრებზე ბინების მშენებლობის მიხედვით.

მიღწეული წარმატებები ახარებს ყველა ჩვენგანს, საბჭოთა ადამიანებს, და მთელ პროგრესულ კაცობრობას და ქმნის მტკიცე რწმენას, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში კაპიტალიზმთან.

„...ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობის შედეგებით, — თქვა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების შეჯიბრების მოწინავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვმა. — მაგრამ ასეთია კომუნისტების, საბჭოთა ადამიანების ბუნება — ჩვენ არ გვანასიათებს წარმატებებით დატკბობა, რა დიდიც უნდა იყოს ეს წარმატებები“. ცხოვრება წინ მიდის, საბჭოთა ადამიანები სულ უფრო მეტ გამოცდილებასა და ცოდნას იძენენ, იარაღდებიან უნარით უკეთ გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი სოციალისტური წარმოების გასადიდებლად.

ჩვენ ამაში დიდი შესაძლებლობანი გვაქვს. ეს ნათლად ნაჩვენებია მოხსენებებში, აგრეთვე ელექტრის მონაწილეების: კუზნეცკის ქარხნის ფურცელსაგლინავი საამქროს ძველაკავის ამხ. კარტაკოვის, ტრესტ „ჩისტიაკოვანტრაციტის“ ლუტუგინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირის ამხ. კოლჩიკის, ჩვენი მეცნიერების, ამხანაგების პატონის, იოფეს, ნესმეიანოვის, ხრისტიანოვიჩის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და პლენუმის სხვა მონაწილეების გამოსვლებში.

მათი ღრმამნიშვნელოვანი სიტყვები მოწმობენ დასმული საკითხების დიდ ცოდნას და მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის შემდგომ აღმავლობას, ახალი, უფრო მაღალი ძიებანის აღებას.

ამ გამოსვლებში მკაფიოდ არის ხაზგასმული ჩვენი მიღწევები. ამასთანავე გამოიკვეთებულია ორგანიზაციული საკითხების, დაგეგმვისა და მომარაგების სეროიოზული ხასიათი. ეს ხასიათი ... ...

საერთაშორისო
ДЕЙКЕШЕБИ, СЦЕНЕБИ, ШЕИМОХЕНДЗА
ცხოვრება

აგრესორები არ ცხრებიან

მდგომარეობა კონგოში

პარიზი, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, იქ მყოფმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივნის მოადგილემ რალფ ბანჩმა გუშინ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების პირველი კონტინგენტი, რომელშიც, ალბათ, შევლენ განის, გვინეის, მალის, მაროკოსა და ტუნისის წარმომადგენლები, კონგოს რესპუბლიკაში ხვალ უახლოესი 48 საათის განმავლობაში.

პრეს-კონფერენციაზე რალფ ბანჩმა თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდალი იქნება შვეიცის გენერალი კარლ ფონ ჰორმი — პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა შტაბის უფროსი.

რ. ბანჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომავალი კვირის დამდეგს კონგოში ჩავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სულ ცოტა ოთხი ბატალიონი.

უპასუხა რა შეკითხვაზე, ბანჩმა თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია დაადგინოს ბელგიის ჯარების გაყვანის ზუსტი თარიღი. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნება ბელგიის თავრობასთან შეთანხმებით.

ნიუ-იორკი, 15 ივლისი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, რომ განის ჯარების რაზმი დღეს ჩავიდა ლეოპოლდვილში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ეს პირველი ჯგუფი, რომლებიც ჩამოდიან კონგოს თავრობის თხოვნით, განლაგდა ქალაქის ცენტრში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ამ პატარა რაზმის ჩამოსვლამ, აღნიშნავს კორესპონდენტი, თითქოს შექმნა ახალი, უფრო მშვიდი ვითარება.

მაგრამ ბელგიის ჯარები კვლავ კონტროლს უწევენ ქალაქს და განსაკუთრებით მის გასასვლელებს, მათ შორის ბრაზავილში გადასასვლელს.

კონგოელებმა მოითხოვეს, რომ ბელგიის ჯარები წავიდნენ მანამდე, სანამ კონგოში შევლენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ჯარები. მაგრამ, როგორც ჩანს, ბელგიელები არ აპირებენ დაემორჩილონ ამ მოთხოვნას, გასულ კვირას მათ დარკვევს კონგოს მნიშვნელოვანი ნაწილი.

პარიზი, 15 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ტუნისიდან გადმოგვცემს, რომ დღეს დილით ტუნისის ელ-აუინის აეროდრომიდან ლეოპოლდვილში გაფრინდა პირველი თვითმფრინავი ტუნისის ჯარებით, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დახმარება გაუწიოს კონგოს რესპუბლიკას.

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, გუშინ საღამოს ლეოპოლდვილის აეროდრომზე ჩავიდა ტუნისის ჯარების პირველი ჯგუფი. ეს ჯგუფი შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების შემადგენლობაში, რომლებიც კონგოში იგზავნებიან უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

აეროდრომიდან ჯგუფი წავიდა სამხედრო ბანაკში „ლეოპოლდ 2“, სადაც არიან საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ძალების კონგოელთა ნაწილები.

ბრიუსელი, 15 ივლისი. (საკდესი). ბელგიის ხელისუფალნი განაგრძობენ აგრესიულ მოქმედებას კონგოს ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ. გუშინ კონგოში გაიგზავნა კიდევ რამდენიმე ასეული ჯარისკაცები; ახლა ასეულთა რიცხვი აღწევს 23-ს. კონგოში ბელგიის ჯარების გაგზავნა გრძელდება.

საგარეო საქმეთა მინისტრი ვინნი გუშინ გამოვიდა წარმომადგენელთა პალატაში კონგოს ამბების საკითხზე და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ბელგიის შეიარაღებული ინტერვენცია კონგოში „ისახავს ერთადერთ მიზანს — დაიცვას ბელგიის მოსახლეობის უშიშროება“. ვინნი ცდილობდა დაერწმუნებინა პალატის წევრები, რომ ბელგიის ჩარევას კანონიერი ხასიათი აქვს, ამასთან იმოწმებდა ხელშეკრულებას, რომელიც ამა წლის 29 ივნისს დაიდო კონგოსა და ბელგიას შორის.

მაგრამ საკმარისია გადავხედოთ ხელშეკრულებას, რათა დავრწმუნდეთ ასეთი მტკიცების სისულელეში. ხელშეკრულების მე-6 მუხლში ნათქვამია: „კონგოს სამხედრო ბაზებში მყოფი ბელგიის შეიარაღებული ძალების ყოველგვარი სამხედრო ჩარევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ კონგოს ეროვნული თავდაცვის მინისტრის თხოვნით“.

ბელგიის ჯარების შეყვანა მოხდა ისე, რომ გვერდი აუარეს სახელმწიფოს მეთაურსა და მთავრობის მეთაურს, რომელიც ამავე დროს კონგოს თავდაცვის მინისტრია.

ვინნიმ თავის გამოსვლაში შემდეგ ცინიკურად განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობა ვერ დაეთანხმება პრეზიდენტ კასავუბუს მოთხოვნას კონგოდან ბელგიის ჯარების გაყვანის შესახებ.

ბრიუსელსა და ბელგიის სხვა ქალაქებში ფაშისტმა არამზადებმა გაიჩაღეს საზიზღარი კამპანია ბელგიაში მცხოვრებ კონგოელთა წინააღმდეგ. აღნიშნულია კონგოელთა ცემის, აბუჩად აგდებისა და შეურაცხყოფის მრავალი ფაქტი.

პატრის ლუმუმბას განცხადება

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება:

გამოვიდა რა კონგოს პარლამენტში, პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ მოითხოვა ბელგიის ჯარების გაყვანა კონგოდან 12 საათის განმავლობაში და ბელგიის ჯარისკაცების წასვლა ლეოპოლდვილიდან და აეროდრომიდან უახლოესი ექვსი საათის განმავლობაში.

ლუმუმბამ დაგმო შეერთებული შტატები იმისათვის, რომ მათ მხარი დაუჭირეს ბელგიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მან თქვა: შეერთებულ შტატებს სურთ, რომ ბელგიამ შეინარჩუნოს სამხედრო ბაზები კონგოში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შესახებ, რომლებმაც გუშინ იწყეს ჩამოსვლა ლეოპოლდვილში, ლუმუმბამ თქვა, რომ ეს ჯარები კონგოში დარჩებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი აქ ყოფნა შეესაბამება კონგოს და არა ბელგიის ინტერესებს.

დამოუკიდებელი ხდება გაბონი

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). კიდევ ერთმა სახელმწიფომ გაბონმა, რომელიც წინათ საფრანგეთის ეკვატორიული აფრიკის შემადგენლობაში შედიოდა, დადო გუშინ საფრანგეთთან შეთანხმება იმის შესახებ, რომ გაბონის ხელისუფლებს გადაეცეს ფუნქციები და რწმუნებანი, რომლებიც წინათ საფრანგეთის გაერთიანების ორგანოების, ესე იგი საფრანგეთის ხელისუფალთა განმგებლობაში იყო. ამ შეთანხმებების საფუძველზე გაბონს ეძლევა დამოუკიდებლობა. პარაფირებულია აგრეთვე შეთანხმებანი თანამშრომლობის შესახებ, რომლებიც განსაზღვრავენ გაბონის დამოკიდებულებას საფრანგეთის გაერთიანების სხვა წევრებთან და საფრანგეთთან. ეს ურთიერთობა ამიერიდან არის არა კონსტიტუციური, არამედ სახელშეკრულებო.

ახალი პროვოკაციები კუბის წინააღმდეგ

ჰავანა, 15 ივლისი, (საკდესი). გაზეთ „რევოლუსიონის“ კორესპონდენტი ქალაქ სანტ-იაგო-დე-კუბიდან იუწყება ამერიკის სამხედრო წრეების ახალი პროვოკაციების შესახებ. 14 ივლისს ამერიკის სამი სამხედრო ხომალდი კრეისერობდა კუბის სამხრეთ ნაპირებთან ორიენტეს პროვინციის რაიონში. ერთ-ერთი მათგანი შეიჭრა ტერიტორიულ წყლებში და კუბის ნაპირების უშუალო სიახლოვეს დაიწყო ქვემეხების „სასწავლო სროლა“.

ამერიკის ახალ პროვოკაციასთან დაკავშირებით ორიენტეს პროვინციის რევოლუციური არმიის სარდალმა კალიქსტო გარსიამ განაცხადა: „ჩვენ არ დაკარგავთ სიმშვიდეს ამ პროვოკაციების წინაშე, ჩვენ ვერ შეგვაშინებს ქვემეხების სროლა, ეს ახალი დადასტურებაა შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა კუბის წინააღმდეგ.“

კონგოელთა დასახმარებლად

ჯაკარტა, 15 ივლისი. (საკდესი). რადიოს ცნობით, საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ განაცხადა, რომ ინდონეზია მზად არის დახმარება გაუწიოს კონგოს, თუ ეს ქვეყანა სთხოვს დახმარებას. მინისტრმა დასძინა, რომ, თუმცა ინდონეზია ამჟამად საკუთარ სიძნელეებს განიცდის, იგი მაინც არ გაუშვებს არც ერთ შემთხვევას ყოველგვარი შესაძლო დახმარება გაუწიოს აფრიკის იმ ქვეყნების მეგობრობისათვის, რომლებმაც ამას წინათ მიიღეს დამოუკიდებლობა, მათი პროგრესისათვის.

ადის-აბება, 15 ივლისი. (საკდესი). როგორც დღეს ადგილობრივი პრესა იუწყება, ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სელასიე I კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ პატრის ლუმუმბას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია, რომ ეთიოპია მზად არის დახმარება გაუწიოს კონგოს მშვიდობის აღდგენის საქმეში.

დიდი ფეხბურთის გზებზე

ლილაადრიან 29 ივნისს საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მთელი შემადგენლობა ვნუკოვოს აეროდრომზე ვიყავით. მრავალმა ნაცნობმა და ფეხბურთის გულშემატკივარმა მოიყარა თავი ჩვენს გასაცილებლად. ისინი გვეხვეოდნენ, გვეშვიდობებოდნენ და გამარჯვებას გვიწინასწარმეტყველებდნენ. თვითმფრინავმა მიმართულება ბრიუსელისაკენ აიღო. „ტუ 104-ის“ სარკმლებიდან ჩანდა გამცილებელთა ხელების ტყე...

გიორგი ჩოხელი,

სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი.

რამდენიმე საათში ბელგიის დედაქალაქის აეროდრომზე ვიყავით. აქედან ჩვენს გუნდს მომსახურების გაუწევდა ბელგიის საავიაციო კომპანია „საბენა“ თვითმფრინავი. თვითმფრინავმა გადასერა ბელგია-საფრანგეთის სახელმწიფო საზღვარი და საწვავის მისაღებად ორლის აეროდრომზე დაეშვა. შემდეგ კი კურსი მარსელისაკენ აიღო. მოსკოვიდან რამდენიმე საათის ფრენის შემდეგ მარსელში ვიყავით. აი სწორედ აქ, მარსელში, უნდა შევხვედროდით ნახევარფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებ გუნდს.

მარსელის აეროდრომზე, ისევე როგორც ბრიუსელსა და პარიზში, მრავალ კორესპონდენტს, ფოტორეპორტიორსა და სპორტულ საზოგადოებათა წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. მათთვის უკვე ცნობილი იყო ჩვენი გუნდის შემადგენლობა. ისინი ჩვენს ფეხბურთელებს ავტოგრაფებს სთხოვდნენ, აჩხაკუნებდნენ ფოტოაპარატებს, გაპკურიოდნენ იგორ ნეტოს, მიშა მესხის, სლავა მეტრეველისა და სხვათა სახელებს.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური მარსელი ჰავით საქართველოს ზღვისპირეთს მოგვაგონებს. აქ თავს იყრის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის საოკეანო გემები. ამ ქალაქში თითქმის ყველა ეროვნების ადამიანს შეხვდებით. არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეთ ადგილობრივ მკვიდრთა გულღიობა. მარსელი განთქმულია უსაქმურთა სიმრავლითა და მის მკვიდრთა ჯუტამახვილური ხუმრობით. ლუდხანებში, ბაღებში, რესტორნებში უამრავი ხალხი იყრის თავს.

მარსელსაც აქვს თავისი ფუნიკულორი. იქიდან ხელისგულივით ჩანს მთელი ქალაქი. ქალაქი ორი ნაწილისგან შედგება. ძველი და ახალი მარსელი. ძველი უბანი ამფითეატრს მოგაგონებთ, იგი განლაგებულია ძველი ნავსადგურის გარშემო მისი ციწრო და ბინძური ქუჩებით, ხოლო ახალი მარსელი ბრწყინავს ბურჟუათა უზრამაზარი სასახლეებით, ვილებით, ფართო და განიერი ქუჩებით. თვალში მოგხვდებათ მწვანე ნარგავების სიმცირე ქალაქში.

დასვენებისათვის დრო ცოტა გვქონდა. ყველაზე კარგი დასვენება ჩვენთვის იყო ვარჯიში, ვარჯიში და საუბარი მომავალ მატჩზე. ჩვენი გუნდის წევრებს შორის არ იყო არც ერთი, რომელიც გამარჯვების რწმენას არ გამოთქვამდა. თუმცა როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ჩვენი მეტოქეები საკმაოდ ძლიერნი იყვნენ. ჩვენ იმთავითვე ვიცოდით, რომ იოლ გამარჯვებას ვერ მოვიპოვებდით.

დასვენების ძვირფას საათებს გვართმევდნენ ფრანგი სპორტისმოყვარეულები, რომლებიც მუდამ გარს გვეხვევნენ. ბევრ დროს გვართმევდნენ აგრეთვე გაზეთების კორესპონდენტები. საერთოდ ფრანგული გაზეთები ბევრს წერდნენ როგორც ჩვენს ფეხბურთელებზე, ისე საფრანგეთის, იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებზე. ფეხბურთის ზოგი სპეციალისტი ფრანგებს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგი იუგოსლავებსა და ჩეხებს, ერთი ნაწილი კი საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

ჩვენი ნაკრები ხვდებოდა ჩეხოსლოვაკიის იმ გუნდს, რომელმაც უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში გამანადგურებელი ანგარიშით (7 : 1) დაამარცხა არგენტინის ეროვნული ნაკრები და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა იმ დროის მსოფლიოს ოფიციალურ ჩემპიონზე — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებზე. ჩეხების სიძლიერეზე აგრეთვე თავისთავად მეტყველებს წლევანდელ სეზონში რუმინეთის ნაკრებზე ორი გამარჯვება (2 : 0 და 3 : 0) და ავსტრიელების დამარცხება ანგარიშით 4 : 0.

აი ასეთ მრისხანე მოწინააღმდეგეს უნდა შეხვედროდა ჩვენი გუნდი მარსელში 6 ივლისს. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა კარგად გაითვალისწინეს ჩვენი გუნდის უპირატესობანი მოწინააღმდეგესთან შედარებით. მათი დავალებით თამაში დაიწყეთ მაღალი ტემპით. პირველ წუთებშივე ვალენტინ ივანოვი შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე და გავიდა მეკარის პირისპირ. მეკარე შროიფი თავგანწირული ნახტომით ჩაუვარდა ფეხებში ჩვენს მარჯვენა შუამაბრს და იხსნა კარი აშკარა გოლისაგან. მაგრამ არ გასულა ერთი წუთი, და ოგივე მომენტი გამეორდა ჩვენს კართან. ამჯერად ლევ იაშინმა იხსნა კარი ბურთისაგან.

ჩეხოსლოვაკიის გუნდი თამაშობდა მოკლე გადაცემებით. მოწინააღმდეგის გუნდს მალე აშკარა დაღლა დაეტყო. ტაიმის დასასრულს ჩვენი ფეხბურთელები მთლიანად გახდნენ მოედნის ბატონ-პატრონნი. ჩვენი ბიჭები გრძელ გადაცემებზე და სწრაფად თამაშობდნენ, რამაც უკვე გადაწყვიტა თამაშის ბედი. მიშა მესხი და სლავა მეტრეველი აიძულებდნენ მოწინააღმდეგის დაცვას ბერი ფიზიკურად მოეგერიებინა, რასაც კარგად იყენებდნენ იური ვოინოვი და იგორ ნეტო.

ამოიწურა ორი ტაიმი. ჩვენმა გუნდმა მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას. საბჭოთა ფეხბურთელებს მთელი სტადიონი ოვაციებით მიაცილებდა. გამარჯვება მოგვილოცეს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმაც. ფრანგული გაზეთის „ეკიპის“ ცნობილმა ფეხბურთის მიმომხილველმა განაცხადა: „1938 წელს მარსელში გაიმართა იტალიისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრა, რომელიც დღემდე არ წაშლილა ადგილმრავე მკვიდრთა მეხსიერებაში, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ თამაშმა უკვე დაჩრდილა დღემდე აქ. ჩატარებული სა-ფეხბურთო შეხვედრები. დღეს ფრანგი მაყურებელი ბედნიერი იყო ეხილა ამ ორი უძლიერესი კოლექტივის მართლაც ნამდვილი ასპარეზობა“.

ჩეხოსლოვაკიის გუნდთან მატჩის დროს მარსელის სტადიონის ტრიბუნებიდან ხშირად გაისმოდა მაყურებელთა შეძახილები: ვივა იაშინ, ვივა მესხი, ვივა ვოინოვ, ვივა მეტრეველი, ვივა ნეტო...

ამ დამაჯერებასთან ერთად ზაურ კალოევს, მიშა მესხს და მე თბილისის „დინამოს“ გამარჯვება ტალინის „კალევთან“ მოგვილოცა ფეხბურთის ცნობილმა რადიოკომენტატორმა ნიკოლოზ ოზეროვმა. ამ ცნობამ თბილელები ძალზე გაგვახარა.

ჩეხოსლოვაკიის გუნდთან გამარჯვებით საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა პარიზში გასამგზავრებელი ვიზა მიიღო. არ გამართდა ფრანგული გაზეთების წინასწარმეტყველება, ფრანგები ვერ გავიდნენ ფინალში. ჩვენ იუგოსლავიელ ფეხბურთელებს უნდა შევხვედროდით.

7 ივლისს უკვე პარიზში ვიყავით. უნდა გვეთამაშა გადამწყვეტი მატჩი. ნახევარფინალში გამარჯვებამ რწმენა და სიმტკიცე შეგვმატა და ახლა უკვე თითქმის ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ამ მატჩსაც მოვიგებდით და თასსაც დავისაკუთრებდით. ბევრი ჩვენგანი არ იცნობდა მოწინააღმდეგეს და არც ენახა მისი თამაში.

ფრანს პრესის ფეხბურთის მიმომხილველმა ასე დაახასიათა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდება თამაშის ორი განსხვავებული სტილი. ერთი მხრივ ეს არის იუგოსლავიის უფრო ახალგაზრდა გუნდის სტილი, გუნდისა, რომელსაც აქვს მოულოდნელი იმპროვიზაციის უნარი, მაგრამ რომელიც უფრო ნრამყარია და ხშირად არასაიმედო. მეორე მხრივ საბჭოთა კავშირის ნაკრები, რომელსაც არ უჩვენებია ასეთი გამამგონებლური და მრავალნაირი თამაშის უნარი, მაგრამ რომელიც საშინია საერთო ძლიერებით, ათლეტურობით და უნარით მთელი 90 წუთის განმავლობაში არ შეანელოს ტემპი, არ შეანელოს კოლექტიური ბრძოლა. იგივე მიმომხილველი ჩავარდა წინააღმდეგობაში თავის თვითან. იგი საბჭოთა ფეხბურთელებს ჯერ უწოდებს „უსახოს“, ხოლო რამდენიმე სტრიქონის შემდეგ აძლევს მათ ნათელ ინდივიდუალურ დახასიათებას: მომავალ მატჩში საბჭოთა გუნდის ძირითადი ძალა იქნებიან მეკარე იაშინი, რომელიც განსაკუთრებით მარჯვეა, საუკეთესოდ აორჩევს ადგილს და არის თავისი საჯარიმო მოედნის ბატონ-პატრონი, გამოცდილი ნეტო, რომელსაც კარგად ეხმარება საიმედო ვოინოვი. საუკეთესო ცენტრალური მესაფეხო — მოხდენილი და სწრაფი პონდელნიკი. მშრომელი ბუბუკინი და უწერნარეს ყოველისა ვალენტინ ივანოვი, როგორც საშინი კომბინაციების ავტორი და იერიშის დამაგვირგვინებელი სნაიპერი.

დადგა ფინალური თამაშის დღეც. საბჭოთა კავშირის ნაკრები მტკიცე რწმენით გამოვიდა მინდორზე. მე აქ დაწვრილებით არ შეეუდგები მატჩის აღწერას, უნდა ითქვას, რომ ჩვენს გუნდში არ იყო არც ერთი სუსტი მოთამაშე, არც ერთი სუსტი რგოლი. თითქმის ყველა შეტევის წამომწყებნი იყვნენ ჩვენი გარემარბები მესხი და მეტრეველი. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თამაშში მესხმა უღალატა თავის ძველ ტრადიციას და გარეკვეაზე გადიოდა მოედნის ცენტრიდანაც.

დამთავრდა ორსაათიანი დაძაბული შეხვედრა. დღეს უკვე მთელი მსოფლიოსთვის არის ცნობილი, რომ ევროპის თასის, მსოფლიოში ყველაზე უფრო „ახალგაზრდა“ თასის მფლობელი საბჭოთა ფეხბურთელები გახდნენ.

პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე მაყურებელმა ხანგრძლივი ოვაციები გაუმართა საბჭოთა ფეხბურთელებს, ჩვენს კაპიტანს იგორ ნეტოს ხელში ეპყრა „ევროპის თასი“, ჭეშმარიტად მაღალი ჯილდო ჩვენი გამარჯვებისა. საინტერესოა ერა მარტო ის, რომ თასი მოპოვებულ იქნა შეუპოვარი და მძიმე ბრძოლით, აგრეთვე საინტერესოა თვით თასი, როგორც ხელოვნების ნაწარმოები. ვერცხლისაგან დამზადებულ თასს აქვს ბერძნული ამფორის ფორმა. მასზე გამოხატულია ფეხბურთის მოთამაშე ჭაბუკი, რომელიც ჟონგლიორობს ბურთით. ეს არის 2400 წლის წინანდელი გამოსახულება, რომელიც არქეოლოგებმა საბერძნეთის ნამარხებში აღმოაჩინეს და დღეს ათენის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება. ამით დასტურდება, რომ ფეხბურთს უძველესი ისტორია აქვს.

მატჩის შემდეგ ჩვენთან მოდიოდნენ ფრანგი მაყურებლები, რომელნიც გამარჯვებას გვილოცავდნენ. მათ შორის იყო მსოფლიოში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ფონტენი. ის ხომ ჩვენი, თბილისელების, ძველი ნაცნობია.

მეორე დღეს ეიფელის კოშკში მოეწყო დიდი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ევროპის თითქმის ყველა ცნობილი გუნდის მეპატრონეები. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ საბჭოთა გუნდის ძლიერებას და დამსახურებულ წარმატებას.

დამთავრდა დიდი ასპარეზობა. ნაკრების წევრები უკვე დაუბრუნდნენ თავიანთ გუნდებს, რათა კვლავ მიიღონ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის პირველობაზე გამართულ შეხვედრებში.

* * *

სურათებზე: (ზევით) **გ. ჯაჩალინი მატჩის წინ უკანასკნელ დარიგებას აძლევს მ. მესხს; (ქვევით) გ. ჩოხელი და მ. მესხი პარიზის აეროპორტში.**

ეს ხმელთაშუა ზღვაში მოხდა...

ტანკერი „პეკინი“ განაგრძობს გზას კუბისაკენ

უდიდესი საბჭოთა ტანკერი „პეკინი“ გაემართა კუბისაკენ, რომ იქ ნედლი ნავთობი ჩაეტანა. ნავთობს ელიან ქალაქ სანტიაგო დე კუბის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნები, რომელთა თავზე ამჟამად ალმართულია კუბის რესპუბლიკის ალამი ნაცვლად ჩამოგდებული ამერიკული ალმისა. როგორც ცნობილია, ეს ქარხნები ნაციონალიზებულ იქნა მას შემდეგ, რაც მათმა ყოფილმა მფლობელებმა — ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მაგნატებმა უარი თქვეს გადაემუშავებინათ კუბის მიერ სხვა ქვეყნებში ნაყიდი ნავთობი. ამ საბოტაჟით ისინი ცდილობდნენ შეეფერხებინათ კუბის რევოლუციის განვითარება, შეებორკათ ახალგაზრდა რესპუბლიკის ეკონომიკა.

და აი ნავთობი — ნედლეულო დამოუკიდებელი კუბის ქარხნებისათვის... აღფრთოვანებით, კუბელ ხალხთან ძმური სოლიდარობის გრძნობით გაემართნენ საბჭოთა მეზღვაურები შორეულ რეისში. რამდენიმე დღის შემდეგ კი ეთერს მოედო საგანგაშო რადიოგრამები. რადიოგრამები იუწყებოდნენ, რომ „პეკინი“ დაეჯახა ნორვეგიის ტანკერს, რომელიც უტვირთოდ მიდიოდა. ამერიკისა და ინგლისის დიპეშათა სააგენტოებმა სასწრაფოდ გადასცეს ცნობები, საბჭოთა ტანკერი სერიოზულად არის დაზიანებულიო. მაგრამ „პეკინი“ თავის რეისს განაგრძობს. „კომსომოლსკაია პრავდის“ რედაქცია დაუკავშირდა საბჭოთა ტანკერის ეკიპაჟს და სთხოვა ეცნობებინა, როგორ მომდინარეობს ეს რეისი. აი რადიოგრამა, რომელიც ჩვენმა რედაქციამ გუშინ საღამოს მიიღო:

ტანკერმა „პეკინმა“ გამოცდილი კაპიტნის ბორის პიმენის-ძე ოსტაშევსკის სარდლობით რამდენიმე ზღვა გადასერა, გამოიარა მკაცრი შტორმები, გრიგალები, მისი საუცხოო საზღვაოსნო თვისებები ყველგან აღტაცებას იწვევს. მიზეზიანი, მკაცრი ლოცმანებიც კი სუეცის არხზე და იაპონიაში, სადაც ორჯერ იყო საბჭოთა ტანკერი, მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის მანევრუნარიანობას და მართვადობას.

თვის დამდეგს მორიგ შორეულ რეისში გავედით. 4 ივლისის დილას „პეკინი“ შეხვდა 15 მილზე ბიზერტის ნავსადგურიდან კანი როკის შუქურის ჩრდილოაღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვის გამოცოცხლებულ უბანზე. ზომიერი ქარი, კაშკაშა სხივები დილის მზისა, რომელიც მოწმენდილ ჰორიზონტზე ამოვიდა და მძლავრი ტალღები გაათბო, თითქოს ცუღს არაფერს გვიქადდა. მაგრამ ზღვა მუდამ მაცდურია თავისი სილამაზით, ხოლო მისი უსაზღვრო სივრცეები ზოგჯერ გადაიქცევა ხოლმე ვიწრო ბილიკად, რომელზეც ორი გემისათვის ძნელია ერთმანეთისათვის გვერდის ავლა.

ამ დილას „პეკინი“. ბევრ გემს შეხვდა. ჩვენ ნორმალურად ვუქცევდით ერთმანეთს გზას არსებული საერთაშორისო წესების სრული შესაბამისობით. მაგრამ დიდი იყო ჩვენი მეზღვაურების განცვიფრება, როდესაც შეამჩნიეს, რომ ნორვეგიის ტანკერი „რონდეფიელი“, რომელიც შემხვედრი კურსით მოდიოდა დაახლოებით ორ მილ მახძილზე, აღმოვაჩინეთ, რომ ეს ტანკერი ცდილობს ჩვენ ეჯახოს. ყველას ერთი ფიქრი ამოქმედებდა — თავიდან აეცილებინათ კატასტროფა.

სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით ჩვენი მეზღვაურები ასრულებდნენ კაპიტნისა და მეთაურების ზუსტ განკარგულებებს. ისინი თავდადებულად მოქმედებდნენ და ცეცხლთან ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს. გამოყენებულ იქნა ცეცხლის დამორჩილების ყველა საშუალება. ამ შეტაკებაში განსაკუთრებული მამაცობა და სიმტკიცე გამოიჩინეს კომუნისტებმა: უფროსმა შტურმანმა იური დიმოვმა, ბოცმანმა მიხეილ ელასოვმა, მატროსმა კირილე ვოლგინმა, უფროსმა ელექტრიკოსმა ვიქტორ სადოვიმ, კომკავშირელმა მატროსებმა ვალენტინ პეტროსენკომ, კონსტანტინე კუზნეცოვმა, ვიქტორ ვიტიუკმა, მემანქანე ალექსანდრე ბოჩაროვმა, პრაქტიკანტებმა ოდესის უმაღლესი საზღვაოსნო საინჟინრო სასწავლებლიდან ვალერი ზაიცევმა, ვასილ კულინმა, ანატოლი ფოკამ და სხვებმა.

გადამწყვეტ მომენტში დიდი საზრიანობა და მიხვედრის უნარი გამოიჩინეს კომუნისტებმა ელექტრომექანიკოსმა ლევ ანდრონოვმა, რადიოსადგურის უფროსმა ივანე გრებენიკოვმა, შტურმანმა ვახტანგ ჩხაიძემ, კომკავშირელმა მექანიკოსმა სერგო ხმელევსკიმ, მხოლოდ საბჭოთა მეზღვაურების გმირობის, უდიდესი ამბახობისა და კარგი ტექნიკური მომზადების მეოხებით თავიდან იქნა აცილებული ადამიანებისა და ტანკერების ტრაგიკული დაღუპვა.

ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა სამ წუთში. „პეკინის“ კაპიტანი ყველა ღონისძიებას ხმარობდა, რომ გაეშორებინა ერთმანეთს გამოდებული გემები. აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა გემის ძალდანადგარის სიმძლავრე. მან „პეკინი“ რკინის თათებს გამოსცალა. ბოლოს ტანკერი უკუსვლით გავიდა უსაშიშრო მანძილზე. ჩვენს გემზე განაგრძობდით ბრძოლას ავარიის შედეგებთან. და ამავე დროს თაკიანთი ტრადიციის ერთგული საბჭოთა მეზღვაურები გაეშურნენ ნორვეგიის გემის დასახმარებლად.

გემიდან გადამხტარ უცხოელ მეზღვაურთა გადასარჩენად დაუყოვნებლივ ჩაშვებულ იქნა მოტორიანი კატერი უფროსი შტურმანის მეთაურობით. ამ ოპერაციაში თავი გამოიჩინეს მემანქანემ ივანე პისლეგინმა, მატროსებმა ვლადიმერ აქსიუტინმა, ივანე ტოპორკოვმა და სხვებმა.

ნორვეგიის გეზზე, ისევე როგორც უცხოელთის მეტ წილ გემებზე, ექიმი არ აღმოჩნდა. იქ გაიგზავნა ჩვენი ექიმი გიორგი დიდენკო, რომელმაც დახარალებულებს სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა.

ნორვეგიელმა მეზღვაურებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს საბჭოთა მეზღვაურებს. ჩვენ რომ გვეთხოვებოდა, ნორვეგიის ტანკერის კაპიტანმა ფინ ონსენმა მაგრად ჩამოგვართვა ხელი. მან გვთხოვა მთელი ეკიპაჟის სახელით და პირადად თავისგან მხურვალე მადლობა გადაგვეცა „პეკინის“ ყველა მეზღვაურისათვის. ჩვენს ტანკერს არ დაუტოვებია ნორვეგიის გემი, სანამ არ მოვიდხენ ბუქსირები, რომლებმაც იგი ბიზერტამდე წაიყვანეს.

ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში „პეკინზე“ წარმოებდა შეუპოვარი ბრძოლა იმისათვის, რომ გემი მწყობრში დარჩენილიყო. ძვირად დაგვიჯდა ნორვეგიელი კაპიტნის მიუტევებელი შეცდომა. ტანკერ „პეკინს“ ნება დართეს თავის ბაზაში დაბრუნებულიყო. მაგრამ კაპიტანმა შეკრიბა გემის საბჭო, რომელზეც განხილულ იქნა შექმნილი მდგომარეობა. ესმოდათ რა დაკალების დიდი მნიშვნელობა, საბჭოთა მეზღვაურებმა ერთსულოვნად დადაწყვიტეს შეესრულებინათ იგი, დაჯახების მძიმე შედეგების მიუხედავად. მუშაობა ახალი ენერგიით გაჩაღდა. ძნელია იმის თქმა, თუ ვინ უფრო კარგად მუშაობდა. ყველანი — კაპიტნით დაწყებული და მატროსით გათავებული — აღგარიშს არ უწევდნენ დაღლილობას, ივიწყებდნენ დასვენებასა და ძილს, თავდადებულად შრომობდნენ. საბჭოთა მეზღვაურების აცდენა კურსიდან აგრე აღვილი როდია. დიდი მუშაობის შემდეგ, რომელიც თითქოს ადამიანის ძალებს აღემატებოდა, მათ განაგრძეს რეისი. ამჟამად ტანკერი „პეკინი“ ატლანტიკაში გავიდა და განაგრძობს გზას კუბისაკენ, ასრულებს ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის მაღალ მისიას.

ვასილ მაშჩენკო,

კაპიტნის პირველი თანაშემწე.

**ტანკერი „პეკინი